


წელიწადი
პირველი



1883ისტ.
1877 წ.

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ფასი 1 ლარი

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოყვის სასტუმროს წყმოდ. №15 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

<p>„ივერიის“ ფასი 1877 წელს. ათი თვისა, გაეზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. — თითო ნომერი — 15 კაპ.</p>	<p>თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს. განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.</p>
--	---

საძიებელი: I. რესპუბლიკელი საფრანგეთი და გერმანია. — II. საქართველოს მატთანე. — III. ომის ამბები. — IV საზოლიტიკო მიმოხილვა. — V. თელავის სასულიერო სასწავლებელი და მისი ოქცის სამღვდელთა ყრილობა თელავში 1875 — 1877 წ — მკ საზრის წერილები სვანეთზედ.

მსურველთა შეუძლიანთ მოითხოვონ „ივერია“ პირველის მარამობისთვის დამ პირველს მომავალს იანვრამდე. ფასი ამ ხუთის თვისა სამი მანეთია.

რესპუბლიკელი საფრანგეთი და გერმანია

საკვირველი ზედმოქმედება იცის საფრანგეთმა სხვა ქვეყნებზედ. 1789 წ. აქეთ, როდესაც საფრანგეთმა ეველა ევროპის სახელმწიფოთა უწინარეს აღმართა თავისუფლების დრომა, საფრანგეთის ხმაურობა ნაღარასავით გაისმოდა მთელ ევროპაში და ხან აქ ეძლეოდა ბანი და ხან იქ. ასე იყო წარსულში და ამ ჟამდაც თითქმის ასე არის. რად იყო—ამის გამოკვლევას ესლა ვერ შეუდგებით. ხვენ აქ მოგანსენებთ მხოლოდ მას, რომ აწინდელს საფრანგეთის მოძრაობასაც არამც თუ მარტო თვით საფრანგეთისათვის აქვს მნიშვნელობა, არამედ მისი ავი თუ კარგი სხვა სახელმწიფოს ბედსაც ერხის. მართლა და დავაკვირდეთ აწინდელს საფრანგეთის მოძრაობის დედა-აზრს.

ამ ჟამად საფრანგეთში ორი ძალა, ორი მიმართულება ებრძვის ერთი ერთმანეთს—რესპუბლიკა და

მონარხია. გულწრფელთა რესპუბლიკელთა აზრით საფრანგეთის ვაი-ვაგლანი და განუსაზღვრელი ჩაგვრა იქიდგან წარა მოსდგა, რომ მისი ბედი მის ხელშივე არ იყო, და ვის ხელშიც იყო—მათს სარგებლობას ხალხის დახაგვრა უექველად მოსდევდა. მაშასადამე ფრანგეთის განწყობილებასა იმ გვარი უნდა იყო, რომ საზოლიტიკო ძალა, საქმეთ-განხილება და მიმდინარეობა თვით საზოგადოების უმრავლესობის, ე. ი. ხალხის ხელთ იქოსო. ამ გვარი განწყობილება არის მხოლოდ რესპუბლიკაო. მონარხიული საფრანგეთის საზოგადოებაში უზირატესობა უჭერიაო სიმდიდრეს, გვარიძვილობას და სხვა ამ გვარ გარეგანს ვითარებას; რესპუბლიკაში კი ჯილდო და ჰატევი ეკუთვნის მხოლოდ ჭკუას, ცოდნას, ზნეობას, მხნეობას და გულწრფელს მამულის მოყვარეობასა. ამ გვარი მიმართულება და განწყობილება მონარხიულთათვის სიკვდილია. სადღაა ის ნეტარი დრო, როდესაც მათი ფუჭი გარეგანი ბრწინვალება არამც თუ მარტო საკუთარს ხალხს უხვევდა თვალს, არამედ მისი სხივები მთელს ევროპას სწვდებოდა? აბა რესპუბლიკის ეურებაში როგორ არ უნდა აემღვრას გული კარლო X-ს, ლუიფილიპისა და ნაპოლეონ III-ს შთამომავლობას და მათის წილობით გამოკვებულთ ზირთა?

აი, მოკლეს სიტყვით, რაში მდგომარეობს საფრანგეთის დასთა დედა-ბრძოლა. მისი მნიშვნელობა თვით საფრანგეთისათვის ცხადია და ლაზარაკიც საჭირო არ არის. ახლა ვნახოთ როგორ უნდა მოუხდეს ეს მოძრაობა საფრანგეთისა სხვას იმისუახლო ეს მოსაზღვრე სახელმწიფოს გერმანიას... გერმანიის

მაგალითი მით უფრო გვეხსენება რომ იგი, როგორც მოგვხსენებთ, გადამტერებულია საფრანგეთს, და ამ მტრობის დედა-მიწისიც გამოგვიჩნდება ამ მოკლე წერტილში.

გერმანიაში თუძნა კონსტიტუცია სუფევს, მაგრამ ვაი იმ კონსტიტუციას, რომელიც მხოლოდ ხალხის თვალის ასახვევად არის დადგენილი და არა მისის ნამდვილის ბედნიერებისათვის. რომ გერმანიის კონსტიტუცია მართლა ამ გვარია, ეს „ივერიის“ მკითხველმა კარგათ იცის. გერმანიაში მმართველთა და ხალხის შორის იმ გვარივე განსეთილება სუფევს, რომლის მოხაზობისათვის იღვწის რესპუბლიკის არსებითი მიდრეკილება. თუძნა ცარიელი რესპუბლიკა გერმანიის ხალხის ცხოვრებას ზირდაზირ მირიანად ვერ შესცვლის, მაგრამ ხალხს ამ ცვლილების მძლავრს ფარ-ხმალს აძლევს ხელში, ე. ი. საზოლიტიკო ძალას. გერმანიაში, როგორც მოგვხსენებთ, არსებობს სოციალ-დემოკრატების დასი, რომლის გულითადი სურვილი ამ საზოლიტიკო ძალის მოპოვებაა. გარდა ამისა ჩავრუთ მდგომარეობაო, ამბობენ რესპუბლიკელები, გერმანიაში თუ საფრანგეთში ერთი და იგივეაო. მაშასადამე მათი ერთ ადგილს წარმატება და წინ წადგომა მეორე ადგილში იმედს უღვიძებს ხალხს და გულს უკეთებს. გარდა ამისა მაგალითი დიდი წამახალისებელი რამ არისო.

აი ამ მხრით არის საფრანგეთის რესპუბლიკა საშიში იმ გვარ სახელმწიფოსათვის, როგორც გერმანიაა. მართლა და წარმოიდგინეთ, რომ იმისთანა მძლავრ სახელმწიფოში, როგორც საფრანგეთია, სამუდამოდ მკვიდრდება რესპუბლიკა, რომლის დედა-აზრი ზემოთ მოვიხსენიეთ. რა ეღდა უნდა ეცეს და რა სევდა უნდა აეძალდოს მის მეხოხელს სახელმწიფოს ამისგამო? მეორეს მხრით, რა გრძნობამ უნდა იფეთქოს ამ სახელმწიფოს ქვეშევრდომთა გულში? დაჩაგრული, ილაჯ-გაწვეტილი გერმანიელი იტკვის: მართალია ვიტანჯები, მაგრამ თავს არ მოვიხრი, რადგანაც მძლავრი და გულწრფელი მეგობარი მქავს, რომელიც ყოველთვის წამომესარჩლება. ამას მოჰყვება სულის აღმატებულება და გულის სიცხოველე.

მაშასადამე საფრანგეთში რესპუბლიკის დამკვიდრება გერმანიისათვის სასურველი უნდა იყოს. გერმანია უეურებს საფრანგეთს როგორც რევოლიუციის ბუდეს, საიდანაც, მის ფიქრით, იბადება ყოველი ბოროტება და ყოველგვარი შოთის ჩამომკდები თესლი. მისის მტრობაში ყოველთვის

დიდ-ძალი ალაგი ეჭირა მასაც, რომ გერმანიას მურდა საფრანგეთის გავლენა და ღონიერობა. მნელი სათქმელი კია ამ ორთა მიწესთა შორის რომელია უფრო ძლიერ იმოქმედა გერმანიასზედ. რაც უნდა იყოს ეს ორივე მიწესნი მაინც ღვიძლი ძმანი არიან.

1870 წ გერმანიამ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ მე მხოლოდ ნაზოლეონის ჯაფრი მჭირსო და მხოლოდ იმას ვეომებო, და თვით საფრანგეთს და მის ხალხს კი არ შევეხებო. მაგრამ როდესაც 4 სექტემბერს საფრანგეთმა ნაზოლეონი ტახტიდამ ჩამოაბძანა და რესპუბლიკა დაადგინა, გერმანია არამც თუ თოფ-იარაღი არ დაწყო, არამედ უკადრისი იკადრა და თავის სიტყვას გადაუდგა. მაშინ არც ერთმა სახელმწიფომ ხელიც არ გაანძრია, რომ გერმანია შევეხებინა. გერმანია დიდი მადლობელი იყო რომ ეს ასე მოხდა

გერმანია უთუოდ ასე ფიქრობს:—ოსმალეთში რაც უნდა მოხდეს ხმას არ ამოვიღებო, ოღონდ კი საფრანგეთის ახრებაში კი დაბრკოლებას ნუ მომცემენო. იქნება გერმანია იმ აზრისაა, რომ საფრანგეთის გაქარწვლებას უფრო ნაკლები დაბრკოლება მოეწიოს, ვიდრე ოსმალეთისას.

საქართველოს მატთანე

უვარლიდამ ჩამოსულმა გლეხმა დიდი ქება გვიამბო იქაურის ზოლიციის ზრისტავისა. „უვარელიო, სთქვა გლეხმა, ხომ მოგვხსენებთ გაჩანაგებული იყო ქურდობისა და ცეცხლის წამკიდებლებისაგან. რაც ეს დალოცვილი ახალი ზრისტავი მოგვივიდა, ყოველივე ავაზაკობა მოიხშო. ზრისტავმა თუ სადმე ბორკილ შეურილი ცხენი დაინახაო, იმის ჰატრონს დაიბარებს და დასტუქსავსო. ბორკილი რად შეგიყრია? ნუ თუ ქურდობისა გეშინიანო. ეუბნება ზრისტავი: მამ რისთვისა ვარ აქაო, თუ ცხენსაც ვერ შევინახავო. გამოუყარე ბორკილიო, აბა ვნახოთ ვინ გაბედავს და მოიწარავსო“ მართლაც, დაუმატა გლეხმა, ჩვენს სოფელშიო ქურდობის და აკაცობის ხმა მიჰსწვდაო მას აქედ, რაც ის ღვთისაგან დალოცვილი კაცი ჩვენში ზრისტავად მოვიდაო“.

ესვე გავიგონეთ ჩვენ იქაურ თავადის შვილისა განაც, ძლივს ხალხის გულ-შემატკივარი კაცი არ გამოჩენილა!



ქალაქში ამბავი ჩამოვიდა, რომ კახეთში ამ მოკლე ხანში სამი ოსმალო სალდათის ტანისამოსით კახეთში ეოფილა. საცა სოფელში მისულან, მოუტეუებიათ, რომ რუსის ჯარები მოდისო და ჩვენ წინ გამოგვგზავნესო სურსათის და სადგომების მოსამზადებლადო. ერთი მათგანი თურმე რუსულს ლაპარაკობდა. ამ მოტეუებით უვლიათ სოფელ-სოფელ და ბოლოს მთებზე გადასულან და სალეკოში მისულან მხოლოდ მამინ შუტეუებით, ვინცა ეოფილან ეს ვაჟბატონები.



„ივერის“ კორრესპონდენციები.

მინგრელიის სასულიერო სასწავლებელი –

მრთელს მინგრელიის სამღვდლოებს აქვს ერთი ოთხ კლასიანი სასულიერო სასწავლებელი, რომელიც ესლა არსებობს დაბა მარტვილში. ეს სასწავლებელი არის საუნჯე განათლებისა, არამც თუ მარტო მინგრელიის სამღვდლოებისათვის, არამედ საეროსათვისაც. განსაკუთრებით სენაკის მაზრაში, სადაცა, გარდა საგლეხო შკოლებისა, არ არსებობს არც ერთი სასწავლებელი, რომელშიდაც შექმლოთ მიღება დასაწეისი განათლებისა თავად-აზნაურის შვილებსა. ღარიბ თავად-აზნაურების შვილები მხოლოდ ამ სასწავლებელში ჰპოულობენ ზირველს და უკანასკნელს იმედს თავის განათლების მიღებისას. აქიდან ცხადათ სჩანს, რომ ეოველი ნამდვილი შვილი მინგრელიისა როგორც სასულიერო, აგრეთვე საერო წოდებისაცა, რომელსაც კი სწამს განათლება, როგორც ზირველი ზირობა საზოგადო ცხოვრების განკარგებისა, უნდა ცდილოდეს სიტყვით თუ საქმით, ამ სასწავლებლის წარმატებაზედ. მაგრამ, საუბედურთ ჩვენდა, ძლიერ ნაკლებ ვხედავთ ასეთს ზირებს მინგრელიის სასულიერო სასწავლებელში უმსგავსოდ და უხეიროდ მიდის ეოველივე საქმე თვით ზედამხედველის წეალობით, მაგრამ ამ უკანასკნელს დრომდის არა თქმულა რა ამაზედ. –

მინგრელიის სასულიერო სასწავლებელი ესლა

არის უკიდურესს მდგომარეობაში: ის არის დაცემულ და დაუძღვრებულ სულით და ხორციით, მოკლებულ იმ ზნეობითს ძალას, რომელიც მუდამ ალვიმებს და აცხოველებს ახალგაზდობას. სწავლა მიდის უსულთ და ამაგებით; მასთან ზნეობითი მხარეც შავირდებისა თან-და-თან ფუჭდება. იშვიათად იზოვით ამ სასწავლებელში შავირდს, რომელსაც შექმლოს კანონიერად შედგენა ორ-სამ ფრაზისა ქართულს ან რუსულს ენაზედ. არითმეტიკაზედ ნურასფერს მკითხავთ. სად სასულიერო სასწავლებელი და სად არითმეტიკა: ესენი ერთმანეთში არ მოთავსდებიან. ამ სასწავლებელში არითმეტიკიადამ იმდენი იციან, რამდენიც საჭიროა ნოეს კიდობნის დასაზომად, თუ რამდენი წერთა ჰქონია მას სიგძე, სიგანე და სიმაღლე. როგორც ხედავთ მკითხველო, ამ უშირატეს საგნებში მოსწავლეები ძლიერ სუსტათ არიან. თუ ამ უმთავრესს საგნებს ასე უხეიროთ ასწავლიან, სხვა საგნებზედ რაღა უნდა ვსთქვათ. –

რა არის მიზეზი ამ ნაირად საქმის მიმდინარეობისა მინგრელიის სასულიერო სასწავლებელში? ამის მიზეზი არ არის არც სამღვდლოება, რომელიც საკმაოდ აძლევს ნივთიერს ღონეს, და არც ადგილის მდებარება, სადაც ესლა არსებობს ეს სასწავლებელი. ამის მიზეზი არის ზედამხედველი სასწავლებლისა და მის თანაშემწენი მასწავლებლნი. ესლა მოკლეთ მოკითხრობთ მათს ვითარებას, რომლისაგამოც არ ხეირობს ეს სასწავლებელი. უმთავრესი საგანი მათის ცხოვრებისა არის სმა და ჭამა, მხიარულება და სხვა და სხვა საქმეში დროის გატარება.

განათლებულმა ზედამხედველმა ზარმაცობაში ეველას გადააჭარბა. მას ეოველ დღეს აქვს რამოდენიმე გაკვეთილები, მაგრამ კვირეში ორ-სამ ჯერ მეტათ არ შედის კლასში, და მისი გაკვეთილი მეოთხედს ან, დიდი რომ ვსთქვათ, ნახევარ საათსა გრძელდება, რადგანაც სათუთი ბუნება ზედამხედველისა გრძელ შრომას ვერ იტანს, თუმცადა კარგათ შეუძლია მას სამი-ოთხი დღე გაატაროს, თითქმის ფენშიმეველად, ნადირობაში მთაზედ და ზდიოს შინაურ ცხოველებს. წრეულს ეკსამენიებიც ცხრა-ათს საათზედ იწეებოდა, რადგანაც ზედამხედველი თერთმეტ საათამდის არ გაიღვიძებდა. ამისთანა გულ-მოღვინების და შრომის წარმომადგენელმა ზედამხედველმა ამას

წინეთ სთხოვა სამღვდლოებს, რომ ჩემი ჯამაგირი არ მეოფნის და მომიმატეთო. ვინ თხოულობს ჯამაგირის მომატებას? ნუ თუ ბრმა ჰგონია მას მინგრელიის სამღვდლოება, როგორც..... გარდა ამისა ავერ ხუთი წელიწადი გადის, რაც შედამხედველი არ ამღვეს სამღვდლოებს ანგარიშებს, თუ რამდენი ფული შამოდის ერის კაცის შვილებისაგან, რამდენი რაზედ იხარჯება და რამდენი რჩება. ერის კაცის შვილებს ახდევინებენ ყოველ წლებით თორმეტ-თორმეტ მანეთს იმასაც ერთბაშად ჰირველ შესვლასზედ. რიცხვი ერის კაცის შვილებისა ყოველ წელივ ასზედ მეტია. ნუ თუ სასწავლებელს, ამდენის განსაკუთრებითი ღონის მქონეს, არ უნდა ჰქონდეს სწავლაში სახმარი ნივთები მაინცა. არა ერთი გზით უთქვამს უფალს შედამხედველს, რომე აწი არ მივიღებ სასწავლებელში მინგრელიის ერის კაცის შვილებსო. რა მიზეზისათვის არ უნდა მიიღოს ერის კაცის შვილები? ან რა უფლებით ამბობს ამას შედამხედველი, როდესაც ამის უფლება ეკუთვნის სამღვდლოებსა, და არა მას.

ამ უწესობისა გამო წასრულს ივნისში მიმავლის წლისას, მოხდა უკამოფილება შედამხედველის და სამღვდლოების წარმომადგენლის წევრთა შორის. განათლებულმა შედამხედველმან დიდი შეურაცხყოფა მიაყენა მრთელს მინგრელიის სამღვდლოებსა უმართებულოსიტყვებით და მათს წევრთა კი საქმითაც. ეს გარემოება სამღვდლოების წევრთაგან მოხსენდა მისს ყოვლად უსამღვდლოებსა იმერეთის ეპისკოპოსს, და იმედია ამ მოკლეს დროშიდ მოხდეს გამოძიება ამ საქმისა უწმინდესის საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის განკარგულებით. ვისურვებთ მხოლოდ, რომ ეს გამოძიება მოხდეს რიგიანად, და მაშინ ვნახავთ რა ბოლოს მოეღის ჭეშმარიტების მოღალატე კაცი. ჩვენდა სანუგეშოთ, მინგრელიის სამღვდლოებსა აქვს იმდენი ღონე, რომ ერთი რიგიანი შედამხედველი იშოვოს, მის წონა ოქროთაც რომ განთეს, მაინცა.

მეგრელიშვილი.

ბურია. 7 აცოცხოს. ვეჭვობ რომ რომელსამე სხვას მოსამზღვრე მასრას (გარდა. . . . ახსნაყეთისა) მოსვლოდეს იმდენი ზიანი, რამდენიც გურიას

მოუვიდა ყოველ მხრივ. ამ ზიანის გასაგებად საჭიროა მოკლეთ განვიხილოთ მისი ცხოვრების ვითარება.

გურიასში უკანასკნელი სტატისტიკურის ცნობით სახლობენ 59,432 სულნი. ამ რიცხვის მთელს ნახევარს შეადგენს თავად-ახსნაურობა; მრთელ ბლამა ნაწილი სხვა და სხვა მასრამი არის გასული მოსამსახურეთ; ქუთაისის ცხენოსანი სპის გუნდი, რომელშიდაც 700 მხედარია, თითქმის მთლათ გურულებიდანაა შემდგარი. ასე რომ ესენი გამოყოფილათ ზემო მოყვანილის რიცხვიდამ დაგვრჩება 20-22 ათასი გლეხობის მოსახლეობა, რომლის ნახევარზედ მეტს ნაწილს შეადგენს მღვდრობითი სქესი, მაშასადამე მუშაობის ველზედ 10 - 12 ათასი მუშაკი თუ გამოვა, ისიც კარგია. აქ უნდა მოგახსენოთ რომ გურულები მაინც-და-მაინც გულს მოდგინე მუშაკათ ვერ არიან ცნობილნი. ამისი და მუშაკზედ ტყუილა მჭამლების უმრავლესობის შედეგი ის იყო და არის რომ ჭირნახული კარგ მოსავლიან წელიწადშიაც ძლივსლა ჰყოფნის ადგილობრივ მცხოვრებლებს. განსხვიდათ თითქმის არა გამოაქვთ რა, ასე განსხვიდათ ოსურგეთის სავაჭრო მოედანზედაც, სადაც ორიოდე კოთხოს და იშოვი ჭადის და ზურის ფქვილსა და სხვა ამ გვარებს, თორემ ბათმანი რომ დაგჭირდეს ჩიტის რმის ფახათაც ვერ იშოვი. კოთხოთი გამოძეიდველ გურულს რომ ამის მიზეზი ჰკითხო მოგიკვებს: „ერთი ბათმანი ფქვილი მქონდეს თუ არა, აბდალაი ვიქნებოდი ქალაქში გასაყიდათ წამოვიდო.“

ამ რიგ მდგომარეობაში იყო გურია აწმყო რუს-ოსმალის ომამდინ.

დადგა ეს ომი თავის ჭეჭა-ქუხილით და მოსთხოვა გურიას სხვერზლი კაცითა და ნივთიერებითა, როგორც მოსამზღვრე მასრას და ერთის მეომართაგანის მომხრეს. ომის დაწყებისათანავე გურულებიდან შესდგა ოთხი „დრუკინა.“ თითოში 800 კაცია, გარდა ამისა ქუთაისის ცხენოსანი სპის გუნდსა ასი კაცი მოუმატეს გურულებიდან. ამათში თავად-ახსნაურნი 400-500 კაცზედ მეტი არ იქნება. ამ რიგად უიმისოთაც მცირე მუშაკებთა რიცხვი კიდევ შემცირდა და ეანები სანახევროდ სრულიად შეუმუშავებლნი დარჩნენ, სანახევროდ მოვლა მოაკლდათ და ერთობ დიდი ზიანი მიეცათ. აი

როგორ: ეველას, ვინც ომში არის, სახლში დედ-მამის გარდა ნათესავნიც ჰყავს. მოკლულ იქნება თუ არა რომელიმე „დრუჟინელთაგანი,“ ესენი მიეშურებიან იმ წამსვე თავის მოკლულ ნათესავთან, დიდის ვაი-ვაგლანით და ხარჯით მოასვენებენ სახლში, სადაც მიცვალებული სუთიოდე დღე ჰსდევს, მერმე ნიშნავენ „სახალხოდ ტირილის“ დღეს, რომელიც იმ დროსვე დამარხვის დღეც არის (თუმც ამ სუთიოდე დღის განმავლობაშიდაც ჰსტირიან მაგრამ ეს ნათესავთა შორის მოხდება ხოლმე)...ამ ტირილზედ საწვალი გლეხი თითქმის ვადლებულია რაც შეიძლება მეტი ხალხი მოიწვიოს, მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ ჩვეულებრივ სადილი გაუმართოს, რომელიც 30 – 40 მანეთზედ ნაკლებად არას დროს არ დამჯდარა. რაც უნდა ღარიბი იყოს გლეხი, არ შეიძლება რომ ამ გვარ სადილის გაკეთებაზედ უარი ჰსთქვას: სულ რომ ზერანგი გაჰვიდოს, მისს ამომდგებელ სადილს მაინც გააკეთებს. აქ უნდა ვჰსთქვა, რომ გლეხს თუნდაც რომ ჰსურდეს ამ გვარ სადილის გაუკეთებლობა, უარს მაინც ვერ იტყვის, ისრე გამჯდარია მათ ძვალს და რბილში ეს მავნე ჩვეულება. ამ სადილის გარდა ჭირისუფალი ეკკლესიაში საკურთხს ჰგზავნის, ღვდლის და დიაკონის კუჭის გასამდომად. ეს საკურთხი მანეთზედ იაფად არას დროს არ დაჯდება, უფრო ძვირად კი ეოველთვის. საკურთხის გარდა იგი ხელ-ახლავ აკეთებინებს აღაზს, რომელიც „სახალხოდ ტირილის“ დღეს გლეხის სადილზედ იაფად არ ჯდება....

ამ გვარად მშობლები იღუპებიან ერთობ დიდის ხარჯით და ნათესავნი გლოვის გამო უმუშავრობით.

„დრუჟინელთა“ სიკვდილი ხშირია და რადგანც იგინი თითო ოროლათ კი არა, არამედ ოცობით და ორმოცობით იხოცებიან მტრის ტყვიებისაგან, ამიტომაც ზემოთ აღწერილი ჩვეულებისთვინ ხარჯიც ხშირია. ხშირათ მოხდება ხოლმე რომ ერთს ომში სულ თანა-მესოფლენი ჰსწვდებიან, ამიტომაც ნახავთ რომ მთელი სოფელი ერთსა და იმავე დროს ჰგლოვს, ჰსტირის, საშინლად ჰხარჯავს და თან არაფერს აკეთებს კარგა ხანს....

ამ უბედურ მდგომარეობას ბუნების რისხვაც მოემატა: ხანგრძლივმა გვაღვამ ერთიანად გაასმო, ისეთაც შეუძლებლობის გამო წამხდარი ეანები, ვახს ნაცარი მოეკიდა, ჰირუტყვები თურქულის

გამო იხოცებიან; თვით მცხოვრებლებთა შორის გაჩნდა სხა და სხვა სნეულება; მათ შორის წითელა, ციებ-ცხელება, ეს მუდმივი სტუმრები გურიისა, და მუცელა კაი ძალ ხარკს ჰკრეფენ გურულებისაგან. მარტო ბასილეთის საზოგადოებას გარდახრევიენს ორმოცი სული....მაგრამ კანონიერი მმართველობის წარმომადგენელი, უფ. მახრის უფროსი, მასთანავე ვითომ სიცოცხლის შემნახველი სწავლის მიმდევარი ადვილობრივი აქიმი სრულიადაც უურადლებას არ აძლევენ ზემო ჩამოთვლილ მოხარკეების მოქმედებას....ამბობენ რომ როდესაც ავათმოფობა გადივლის, მიცვალებულებს დამარხვენ და ჰაერი სოფლებში გაიწმინდება, უფ. აქიმი მაშინ წაბრმანდება სოფლებში, და უხვ-სიტყვაობით აღწერს ავათ-მოფობანი საიდგან და რა მიზეზით წარმოსდგნენ და მან რა ზომები მიიღო.

თუმც გურულები თითქმის მარტო შიშის მოყლიან მოობადში, მაგრამ მათ იმდენი გაბედულება კიდევ აქვთ, რომ შარმანდელის მოსავლიდგანაც ჰყიდიან....საშინელი ხალხია ჩვენი ხალხი....

ო-ა ო-ძე.

იხმრეთი.—სიხმარში ეოფილა ის კორრესპონ-დენტი, რომელიც ატეობინებს „დროებას“ იმერეთიდან (იხილეთ №104), რომ აქ კარგი ამინდებია და ეურძენს ნაცარი არ აჩნიაო. ეს კი არა წარსულ დღეებში (25 ივლისის წინედ) იმისთანა დეთის რისხვა ზენა-ქარი ამოტედა, რომ თითქმის აღარაფერი დაუტოვებია გაუნმობელი. ვაზის ავათმოფობაზედ უწინაც გწერდით და ახლაც უნდა მოგახსენოთ, რომ ამ რივი ვაზის ავათმოფობა არასოდეს ამ 15 წლის განმავლობაში არ ეოფილა. ასე მითხრეს საპატო-კაცებმა, ქვემო და ზემო იმერეთიდან, გურიიდან და სამეგრელოდან ჩამოსულებმა. ასრე გასინჯეთ, რომ ეირიმის ვაზსაც კი გამოაჩნდა სნეულობა.

ო-ა ო-ძე.

ო მ ი ს ა მ ბ ე ბ ი.

6 მარიამობისთვის დენერალის ღორის-მე-ლიქოვის ჯარის ერთი ნაწილი მუხთარ-ფაშის ბანაკისაკენ, გასულა, იმ განხრანხით, რომ მუხთარ-

ფაშა არ მიეშველოს იხმადილ-ფაშას, რომლის წინააღმდეგ ღენერალი ტერგუკასოვი არის გასული. მართლად და მუხთარ ფაშა შეშინებულია და ბევრი ჯარი გამოუყვანია ლორის-ძელიქოვის ჯარის დასახვედრად. აქ მომხდარა ომი, რომელსაც არტანანდამ მოსული ზოლკოვნიკი კამაროვიც დასწრებია, ომის შემდეგ ჩვენი მოწინავე ჯარი სოფ. ქულევერანს დაბანაკებულია და უმთავრესი ძალა კი ისევ ქურუქდარას დაბრუნებულია. ჩვენის მხრით მოუკლავთ ვლადიკავკასის ზოლკის პრანკოშჩიკი კამაროვი და სამოცი ჯარის კაცი; დაუჭრიათ სევასტოპოლის ზოლკის შტაბს-კაპიტანი ვაშჩენკო და ზორტუშვი-იუნკერი ხორუჟენსკი; ვლადიკავკასის ზოლკის მაიორი გრიგოროვიჩი და შტაბს-კაპიტნები მიშლაევი და მაკროპოლიო; ზეტერბურლის გრენადერის ზოლკისა შტაბს-კაპიტანი უმანცი; ნიჟეგოროდსკის პრანკოშჩიკი ევსტაფიევი, ზორუჩიკი პრინცი მაჰმუდმიზრა და 275 ჯარის კაცი, ოსმალოს მხრით წარალი 800 კაცამდგა.

– 7 მარტამობისთვის, დამე ცხენოსანი ჯარს თ. ღენერალ-ლეიტენანტის ჭავჭავაძის წინამძღობლობით სოფ. ბულანახისკენ გასულა და ოსმალოს ჯარს დაჰსცემია. ამ ომში მტერს შემდეგი წარალი მისცემია: სამოცი კაცი მოუკლავთ და ერთი აფიცერი და ექვსი ჯარის კაცი ტყვეთ წამოუყვანიათ. გარდა ამისა ჩვენებს 20 ცხენი წაურთმევიათ და ბევრი იარაღი. ამ საქმეში ჩვენგანი დაჭრილან მაიორი ვიტტე და კაპიტანი ჩერნიშოვი. ჯარის კაცთა შორის არავითარი წარალი არ მოსვლიათ.

– რაც შეეხება ბოლგარის ომებსა, იქ როგორც მოგვხსენებთ ოსმალოს ჯარი სცდილობს რუსები ბალკანის მთის იქით განდევნონ და მეორეს მხრით რაზგ რადიდამ და ზღვინიდამ გზა გადუღობოს რუსის მხედრობის შუა ნაწილს. პირველ საქმისათვის დანიშნულია სულეიმანის მხედრობა, რომელიც 40 ბატალიონიდან არის შემდგარი. 9 მარტამობისთვის სულეიმან ფაშა შიბკას დასცემია. სოფ. შიბკას დიდი მნიშვნელობა აქვს. ბალკანის მთის უმთავრესი გარდასავალი გაბროვსედ და შიბკასედ გადის, ე. ი. თავის გაბროვში აქვს და ბოლო შიბკასედ. ამიტომაც როდესაც ღენერალმა გურკომ ვიწრო ბილიკით გადაიარა ბალკანის მთა, მაშინვე შიბკა დაიჭირა. ეს

გარდასავალი გზა ამ ქამად რუსის ხელშია. შიბკას სულეიმან-ფაშა ეტანება და გაბროვისკენაც ლოჯიდან სელვასედ ოსმალოს ჯარი მოძრაობს. დიდის ალტაცებით და თავგანწირულად ებრძვიან ოსმალები შიბკაში მეოფს რუსის ჯარს. ხუთი დღე (9, 10, 11, 12, 13-ს) ომი თითქმის არ შეწყვეტილა. 9 მკათათვეს ჩვენის მხრით ორას კაცამდე დაიღუპა, 10-ს ბევრად ნაკლები. ოთხის დღის განმავლობაში გაბროვში მიუყვანიათ 26 დაჭრილი რუსის აფიცერი და 100-მდე დაჭრილი ჯარის კაცი.

– ქურუქდარა. 13 მარტამობისთვის ოსმალოს ჯარს კიხილ-ტაშის მთა დაუჭერია და წინ წამოწეულა. ოსმალოს ჯარის მარცხენა მხარეს რუსის ჯარი დასცემია და დიდ იაგნის მთაში შეურეკია. კიხილ-ტაშის მთა ოსმალოს შერჩენია. ჩვენის მხრით 20 ბატალიონი ეოფილა ომში მუხთარ-ფაშის მთელის მხედრობის წინააღმდეგ. ჩვენნი 9 აფიცერი, მკვდარი და 62 ჯარის კაცი, 25 აფიცერი და 627 ჯარის კაცი დაჭრილი ამ ომში დაუჭრიათ თავში სუბუქად ღენერალ ლეიტენანტი თ. შაქარია ჭავჭავაძე.

ზოლკოვნიკის შელკოვნიკოს გუნდს 7 მკათათვეს დამე გაგრის გარდასავალი გადუღლია, რომელსაც ახსახები და ოსმალოს სომალდები იცავდნენ. ბევრი თოფ-იათადი წაურთმევიათ მტრისათვის, აგრეთვე სამი ათასი თავი საქონელი. ჩვენის მხრით ორი მოკლულია და რვი დაჭრილი. 8-ს ჩვენებს კოლდახვარის გარდასავალი დაუჭერიათ. მეორე დღეს ახსახებს მოუგზავნიათ მოციქულები, რომელთაც უთქვამთ თურმე იარაღს დავერითო და რასაც გვიბმანებთ ავასრულებთო

9 მკათათვეს იმავე შელკოვნიკოვის ჯარის ნაწილი ბიწუნდაში მდგომს ოსმალოს ჯარს დასცემია, რომელიც გაფანტულა და სომალდებში შეფარულა. ჯავშინან სომალდებს 250 ეუმბარა უსროლიათ. ჩვენი რვა არის დაჭრილი. ხუთი კაცი ჩვენებს ტყვეთ დარჩენიათ; გარდა ამისა ჩვენებს 1,500 სული საქონელი წაურთმევიათ და 30 ცხენი.

გარდა ამისა „ტფილისის მოამბეს“ ტსლეკრამმა ამბობს, რომ შელკოვნიკოს გუდაუტი დაუჭერია, რომელიც ოსმალებს სრულებით გადუწვამთ.

საპოლიტიკო მიმოხილვა

საფრანგეთი მაკ-მაგონი, როგორც მოგესხენებათ, ჯარის კაცია, და ბევრი ლაშარაკი არ უყვარს. ეხლა კი, რაც საფრანგეთის დაცვა მოინდომა, მხელი საქმე დაეძარბა. მისი მინისტრები ძალას ატანენ წადი საფრანგეთი დაიარყო, აქა-იქა სიტუვა წარმოთქვიო ავები როგორმე სახელი გავიკეთდესო. მაკ-მაგონიც აიბარკა და ჯერ ნორმანდიას მიჰმართა თავისი წყალობა და ქალაქს ევრეს მივიდა. რეინის გზის სადგურზედ ადგილობრივნი მოხელენი დაუხვდნენ. შემდეგ ჰრეფეკტურაში წაბძანდა, სადაც სხვა და სხვა მოხელენი მიიღო. ჯერ-ჯერობით ქალაქის მოთავის თანამემწემ (თვითონ მოთავე ორის დღის წინ გადაეხრებული იყო, რადგანაც რესპუბლიკის მომხრეა) გააცნო მუნიციპალის საბჭოს წევრნი. მოთავეს თანამემწემ შემდეგი სიტუვა უძღვნა მარშალს: „უფ. რესპუბლიკის ჰრეზიდენტო! ჩემი თანამდებობდა ჰატივს მამღევს დაუხვდე უშირატესს გვამს რესპუბლიკისას. მე მოგეკებით თქვენ ქალაქის ევრეს მცხოვრებთა წარმომადგენელათ. თქვენ ისურვეთ ეს მოგ ზაურობა, როგორც ვიცით, იმ განზრახვით, რომ გაიცინოთ საფრანგეთის ხალხის მოთხოვნილება და ლოდინი; გულითადს მადლობას გიცხადებთ თქვენ ამისათვის, ვერე-ზირველი ქალაქია, რომელსაც ეწვიეთ თქვენ ამ მოგ ზაურობაში; ნება მოგვეცით გულებდით ადვიაროთ ჩვენი გრძნობა და გითხრათ, რომ მცხოვრებნი, რომელთა წარმომადგენელი ჩვენ განლაგართ, გულწრფელი ხელქვეითნი არიან რესპუბლიკის მმართველობისა, და ეოველი თქვენ მიერ ხმარებული ღონისძიება ამ მმართველობის დამკვიდრებისათვის გულითა დს თანაგრძნობას მოიპოვებს ჩვენის ქალაქის მცხოვრებთაგან. თქვენ მოგ ზაურობაში ცხადათ დაინახავთ, რომ ეოველს კეთილ-გონიერს მცხოვრებს ჩვენი ნორმანდიისას ამ გვარვიუ გრძნობა უღვივის გულში და ამასთან ის მსურვალე სურვილიც, რომ აწინდელი კრიზისი საჩქაროდ დაბოლოდეს და მით ეოველი სული უშიშრათ მიეცეს თავის საქმეს.“ ამასუდ მარშალმა უპასუხა შემდეგი: „მართალი მოხსენებაა, რომ კონსტიტუციას არა ვითარი შიში არ მოელის იმისგან, ვისაცა აქვს მინდობილი მისი დაცვა; შიში მხოლოდ იმათგან მოელის, ვისიც მომღვრება და ქადაგება მავნებელია ეველა ინტერესებისათვის და ავრეთვე

იმ დედა-ბოძთათვის, რომელთა სიმკვიდრე საჭიროა ეოველის მმართველობისათვის, რა გვარიც უნდა იქონეს მმართველობა.“

მაკ-მაგონს რომ ადრევე სცოდნოდა ევრის მოთავის თანამემწის სიტუვა, ამ თანამემწესაც გადააქენებდა, ან არა და სრულებით აიცილებდა თავიდან ამ მოგ ზაურობას. მაკ-მაგონი გულში უნდა დარწმუნებულიყო, რომ მომავალი საფრანგეთში რესპუბლიკისაა, სხვა რაც უნდა ჩასწორებულ მისმა მინისტრებმა, ამას უნდა დაეუმატოთ, რომ სენ-ლოს და შერბურლის მუნიციპალის საბჭომ გრომიც არ გადასდვა მაკ-მაგონის დასახვედრად.

სარბია. გაზეთს **СЪверный Вѣстникъ**-ში დაბეჭდილია შემდეგი კორრესპონდენცია ბელ-გრადიდან: ჩვენდა სამწუხაროდ უძეტესი ნაწილი სერბიის ინტელიგენციისა (განათლებულთა ჰირთა) განარბებულია რუსის ჯარის დამარცხების თაობაზედ ზღვენაში. რამდენადაც მესმის, ეს სინარული მისგან წარმოსდგება, რომ, იმათის აზრი, რუსის ჯარის დამარცხებაზედ დამოკიდებულია სერბიის მომავალი, ე. ი. სერბიასთან შეერთება ბოსნიისა, ჰერცეგოვინისა და ძველის სერბიისა, თუ მთლად არა, მომეტებული ნაწილისა მაინც. აი რას ფიქრობენ სერბიელნი: ეს ომიანობა რომ რუსეთისათვის კარგად წავიდეს, მაშინ რუსეთი არავითარ ეურადლებას არ მიაცქევსო სერბიას და ჩვენი ქვეყანა იმავე საზღვართა შორის დარჩებაო, როგორც ამ კამად არის. მაგრამ რუსეთს თუ საქმე გაუჭირდა, მაშინ სერბიის შემწეობას ისურვებს და სერბიას სამავიეროდ ის ერგება, რაცა ჰსურს. რუსების დამარცხება კიდევ იმიტომ უხარიათ სერბიელებს, რომ ეხლა ქვეყანა დაინახავს რამდენად მძლავრია ოსმალეთი და რამდენად ეოხალნი იყვნენ სერბიელნი, რომ მას ეომებოდნენ და გაუმაგრდნენო. ეხლა—ამობენ სერბიელნი—რუსები ველარ იტევიანო, რომ სერბიელნი მარტო იმაში ვარჯიანანო, რომ დაჭრილობის ნიშნად თვითონ მოიკვიტონ თითებიო და სიძინდებში დაიძალენენო. რუსები დაინახვენ, რომ ოსმალე თთან ბრძოლა ადვილი არ ეოფილა, და სერბიაც ისეთი უხეირო არ არის, თუ კი შეიძლო ისეთი ხანგრძლივი ბრძოლა ოსმალეთთანაო.

„სერბიის აფიცრები ბევრს ლაშარაკობენ მომავალს ომზედ, მასზედ თუ სად უნდა გაიგ ზავნოს უმთავრესი ჯარი სერბიისა“.

— ავსტრიას რადას უხამთ? ვკითხე მე ერთს ამ აფიცერთაგანს.

– რა არის ავსტრია?–არაფერი! ახა დაიძრას: თვითონვე ლუკმა-ლუკმა იქცევა.“

ამ ჟამად ამბავი მოვიდა, რომ სერბია დღე დღეზე ომის მოკლისო. მაგრამ ვიდრე ნამდვილად არ დამტკიცდება ეს ამბავი, ძნელად დასაჯერია.

ავსტრი-ვენგრია.–ამ ჟამად ავსტრი-ვენგრიაში, როგორც მოგუხსენებთ, დიდი მღელვარებაა აღმო-სავლეთის საქმის თაობაზე. ცალკე ვენგრიელები და ცალკე სლავიანები წამ და უწუმ მიტინგებსა მართვენ–პირველნი ოსმალეთისადმი თანაგრძნობით აღსავსენი, მეორენი ამ თანაგრძნობის წინააღმდეგნი. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ავსტრი-ვენგრიის მთავრობა არც ერთს მისდევს, არც მეორეს, და თავისი საკუთარი განზრახვა და წადილი აქვს. კარგადაცა შერებაო–ამბობს **Indépendance Belge**-ის კორრესპონდენტი და აი რად. ავსტრი-ვენგრიის სახელმწიფო, თუ ესე შეიძლება ვსთქვათ, ორთ ავაა–ერთის მხრით ვენგრიაა, მეორეს მხრით ავსტრია. სლავიანის ტომის ხალხი, ზოგი ერთს ემორჩილება (პირ-და-პირ) ზოგი მეორეს. ამის გამოცხადებით ვენგრიელნი ამბობენ, რომ მთავრობა მხოლოდ ჩვენსა და ნემენცების აზრს უნდა აჰყურო და არა სლავიანებისასაო. შემოხსენებული კორრესპონდენტი ამასეუდ აი რას ამბობს: დიდი შეცდომა იქნება და დიდი განსაცდელიც მოჰყვება თუ მთავრობა ვენგრიის პოლიტიკას აჰყვას. მაგრამ ღვთით ეს ასე არ არის. მთავრობა კარგათ გრძნობს, რომ სახელმწიფოს დაცვისათვის ზომიერსა და მშვიდობის მოაფელს პოლიტიკას უნდა დაადგოს ამ მძიმე საქმეში,„

„მთავრობა რომ მარტო მადიარების (ვენგრიელების) განსაკუთრებულ პოლიტიკას აჰყურო, მაშინ თვითონ ავსტრო-ვენგრიის სახელმწიფოს დიდი განსაცდელი მოკლისო.“

მიტჰად-ფაშა რომ 16 მარტობისთვის (ე. ი. 4-ს) ზარიქს მისულა მას გაზეთის **Temps**-ის თანამშრომელი სწვევია, რომელიც ამ შემთხვევისაგამო შემდგეს იწერება: „მიტჰად-ფაშა, როგორც მოგუხსენებთ, ლონდონს აპირებს წასვლას. იქნება ეს მოგზაურობა ინგლისში უმთავრესი საგანია ამ პატრიოტულის მოვალეობისა, რომელიც იკისრა მიტჰად-ფაშამ. მაგრამ ამ ჟამად ეს გარდაეწებული ვეხირთ-უხუცესი უფრო დიდხანს დარჩება ზარიქში, ვიდრე ადრევე აპირებდა. შესაძლებელია, რომ ვიდრე ინგლისის დიპლომატებთან მოილაპარაკებს, შესა-

ნიშნავს ამბავს რასმეს მოუცდის საომარ ველიდამ. თუ მართლა ასეა, მაშ მიტჰად-ფაშა ორი კვირა მაინც დარჩება ზარიქში, რადგანაც ძნელი საფიქრებელია, რომ რუსებმა ამ თვის განმავლობაში წინ წაიწიონ და იერით მივიდნენ ოსმალეზზედ... ოსმალეზსაც არა ვითარი საბუთი არ აქვთ თავისის სიმაგრეებიდამ გამოვიდნენ და შეუტონ რუსებს. გარდა ამისა ინგლისის პარლამენტი დაიძალა და მისი წევრნი ლონდონიდან გასულნი არიან. მიტჰად-ფაშას რასაკვირველია ჰსურს მოლაპარაკება არამც თუ მარტო მინისტრებთან, არამედ პარლამენტის წევრთათანაც. მიტჰად-ფაშას იმედი აქვს, რომ ომი დიპლომატიის შუამდგომელობით შესწყდება შემოდგომის ბოლოს ან ზამთარში. მიტჰად-ფაშა ამ აზრისაა: ოსმალთს ჯარს ძალიან კარგი მაგარი ადგილები უჭირავს, და სიმაგრის დაცვაც კარგად იცის. ეს ცნადად დამტკიცა კიდევო. გამარჯვებამ ძალიან აამაღლა ოსმალთს ჯარის მხნეობა და განუძლიერა საომარი ძალა. სულეიმან-ფაშა და ოსმან-ფაშა საცაა შეუერთდებიან ერთი ერთმანეთს ტირნოვის ახლოს, და რა წამსაც შეუერთდებიან იმ წამსვე რუსები მომწვედელ იქნებიან ამ ორის ღენარლისა და მეჰმედ-ალის მხედრობის შუა, ხოლო ზურგთ უკან დუნაი დარჩებათ. თუ ოსმალთს ჯარს დიდხანს ეყოლება მომწვედელი რუსები, და თუ რუსები თავის დასახსნელად დაეცემიან ოსმალეზს, მაშინ რუსებს გამარჯვებისათვის იმდენი ჯარი დასჭირდებათ, რომ იმოდენას ვერც იმოვიან და ვერც შეინახვენ. რაც უნდა იეოს, თუ ოსმალთს ღენარლებმა კარგად მოინძარეს დრო და გარემოება, ომი დიდხანს გასწევს. რუსებს დიდი იმედი ჰქონდათ ბოლგარების აჯანყებისა, მაგრამ ბოლგარიელნი ძალიან სუსტი მოზავენი გამოდგნენ. თუცა ბოლგარიელნი მართალია აჯანყებისათვის გამზადებულნი არიან, მაგრამ ისე უძლურნი და მშობარანი არიან, რომ მათი დანძარება სრულეობი თ გამოუსადეგია. ეხლა რუსებს გამარჯვებისათვის ხანგრძლივი და დიდი ჯაფა და ცდა მოუნდებათ. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ომი ზამთრამდე არ ვათავდება და ბრძოლას დროებით შეაყენებენ და გაზაფხულს ხელმეორედ დაიწყებენ. განა უპირატესნი სახელმწიფონი შეიწინარებენ ამ გვარს მდგომარეობასა? ეს ომიანობა მთელს ევროპას ზიანს აძლევს, და რაც უფრო დიდხანს გასწევს იმდენად უფრო საზიანო იქნება. ომის ხანგრძლივობა თვითონ რუსეთისთვის დიდი გამბედაობა იქნება გარდა ფინანსებისა, სხვა მიზეზების გამოც. მაშასადამე ეველა სახელმწიფოთა სარგებლობა მოითხოვს დიპლომატიის შუამდგომელობას. თუ ვინცობაა ომმა დიდხანს განსწივა. ასე ფიქრობს

მიდგად-ფაშა, და იმედი აქვს, რომ როცა დრო მოვა დიპლომატიის შუამდგომლობას, მოახერხებს და ოსმალეთს ღირსეულს და მართებულს მშვიდობიანობას ჩამოუკდება.

თუ მიდგად-ფაშა თავის ნებით დაიარება ევროპაში. მაშინ რასაკვირველია მის მოსახრებას და ღაწარაკს არავითარი საპოლიტიკო მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ საფიქრებელია, რომ მიდგად-ფაშა საიდუმლო მოციქული იქონს ხონთქრისა. იგი ისეთი სუფელი კაცი არ არის, რომ თავისთავად გამოტყვევს და ტყუილ უბრალოდ მეტიხრობა გასწიოს.

ღირს შესანიშნავია ავრეთვე, რომ მიდგად-ფაშა მორიგების ნიადგას სხვათა შორის ინგლისში დაეძებს, იმ ინგლისში, რომელსაც ცეცხლი და ნავთი გასდიოდა ზირიგან რუსეთის წინააღმდეგ. ეს კარემოებაც გვიმტკიცებს, რომ ინგლისის პოლიტიკა შეიცვალა.

თელავის სასულიერო სასწავლებელი და მისი ოლქის საგლვლოთ ყრილობა 1875-1877 წ.

1875_1877 წ.

„მართალია, მძინაკელს ძინაჲ თუთ კი აუად მოუხდების, მაგრამ ფარჲ საიჲსა ქვეყანას არ მოუხდების! წამხდენელთა და მძინაკელთა კადეჲ სხუჲც რომ წაუხდების და ძინაჲჲკ სჯობს სამძინაჲთა, ძინაჲჲს კაცო მოუფრთხიების.“

დავით ტურამიშვილი.

სამღვდელოთ ყრილობა თელავში დაიწყო 1867 წლიდან, იმ დროდგან როდესაც სასულიერო სასწავლებლის ძველი კანონების მაგიერ დამტკიცდა ახალი კანონები. ამ კანონებმა დიდი უფლება მიანიჭეს სამღვდელოებას სასულიერო სასწავლებლის საქმეში. სამღვდელოებას მიეცა უფლება იყოლიოს თავის მხრით ორი წევრი სასწავლებლის სამმართველოში, რომელთაც აქვს სრული ხმის უფლება ყოველ საქმის განხილვაში. ამ უფლებასთან სამღვდელოებას ისიც მიენიჭა, რომ ამან უნდა იზრუნოს სასწავლებლის წარმატებაზე, მის ნივთიერ (მატერიალურად) განკარგებაზე და უნდა სწირავდეს სასწავლებლის სასარგებლოდ რავედენსამე შესაწირავს როგორც თავისის, ეგრეთვე ეკლესიის შემოსავლიდან. ესრეთი უფლება და მოვალეობა, სამღვდელოებისა, მინიჭებულნი ახალის კანონების ძალით, 1867 – 1875-მდის დარჩნენ ჩვენდა სამწუხაროდ, თითქმის უნაყოფოდ. თელავის სასულიერო სასწავლე-

ბლისათვის სამღვდელოთ შეწირულობა, აღნიშნულის დროის განმავლობაში თავისის სიმცირით სათქმელი არ არის, თუმცა სასწავლებლის საქმირობანი ბრძებისათვისაც ადვილი დასანახავი ივენენ. ჩვენი სამღვდელოება კი აქამდის თვალეხსა სუჭავდა და არ უნდოდა მისი ნაკლულებების დანახვა და განსაკუთრებით მისი შევსება; ის ჩვეულობისა მებრ უმაღლესის მთავრობიდგან ელოდა შემწეობას და წრუნვას. რომ ეს შემცდარი იყო თავის შესედულობაში და რომ მისი ფიქრები სასწავლებლის შესახებ ივენენ უსაფუძვლონი, ამში დაარწმუნა თვით საქმემ; რვა წლის განმავლობაში ამას ეური არა ვინ ათხოვა უწინდებულად, მოსწავლეთ და თვით სწავლამ ძლიერ ძირს დაიწვია სასწავლებელში, ასე რომ საქართველოს კანტონამ ამ მიზეზის ძალით განიზრახა კიდევ ამ სასწავლებლის გაუქმება და რამდენჯერმე სთხოვა უწმ. სინოდს, რომ ეს სასწავლებელი გაუქმებულ იყო. თქვენი მტერი იქონს, ჩვენს სამღვდელოებას საქმე დაემართებოდა, რომ უწმ. სინოდი დათანხმებულყო კანტონის წარდგენაზე და სასწავლებელი გაუქმებინა.—მაგრამ ჩვენი სამღვდელოთ შვილების სასინარულოდ, სინოდმა უარი სთქვა სასწავლებლის გაუქმებაზე, და ამასთანავე სამღვდელოებას აცნობა, რომ უთუოდ ნივთიერი (მატერიალური) შემწეობა რამე მისცენ სასწავლებელს, წინააღმდეგ შემთხვევაში სასწავლებელი გაუქმდებოდა. ამ შემთხვევამ ცოტა არ იყო, ჩვენი სამღვდელოება გამოაფხიზლა. ამას გარდა საქმემაც აჩვენა, რომ ისინი თვითონ ვერ ამხადებდნენ ზირველის კლასისათვის თავიანთ შვილებს და რჩებოდათ უსწავლელნი. ამისთანა გარემოებამ გამოაღვიძეს ჩვენი სამღვდელოება, აუხილეს მათ თვალი და ჩააფიქრეს თავიანთ შვილების ბედსა და უბედობაზე. უნდა შევნიშნოთ ამასთანავე რომ ესრეთი გამოღვიძება არ იყო ძირეული გულითადი; ეს იყო დროებითი აღელვება სამღვდელოებისა, რომელიც ჩქარა ჩაივლიდა და სამღვდელოება უწინდელს უაზრო მდგომარეობას მიეცემოდა, — თუ რომ ამათ არ გამოუჩინდებოდათ თავიანთ მოძმეთაგანივე გულითადი წინამძღომელნი. ამ გვართ წინამძღომლობაზე შეიძლება მხოლოდ იმედი გვქონოდა, რომ ესენი კარგად წაიუვანდნენ საქმეს, და უკეთუ ეს წინამძღომლობა ერგებოდათ გონებით ბრძებს და გულით შემუსვრილ ზირებს, მაშინ საქმე უკან დაიწვედა და წარმატების მაგიერ ვნებას მიეცემოდა სასწავლებელი. თუ რამდენათ საფუძვლიანია ეს აზრი, ამასეუდ უნდა იღაწარაკოს თვით საქმემ, რომლის გულწრფელ აღწერას შევუდგებით.

ორის წლის განმავლობაში 1875 – 1877 წლამდის (სექტემბ. 1875 – ივლის 1877) სუთჯერ იყო სამღვდელთა ერთობა, რომელთაგან თვითვეულებს ცალკე აუუწერ „ივერის“ მკითხველებს.

I.

„ამდ სპრახენ ვინტ ავს ჩადის კვლავ აღარ ჩადინოს, სხვა ტაფრთხილდეს, მისებრ ცრემლი თვალთ არავის ჩადინოს, კაცმა უნდა თავდრანკე საქმე კარგად მოხდინოს, თორემ ბოლოს ვით აქნების, ავხვდ მრახვა დაოჯინოს.“

დავით ტურამიძე.

სამღვდელთა ყრილობა 19 სექტემბერს 1875 წ – უპირველესი დანიშნულება ამ ყრილობისა მდგომარეობდა იმაში, რომ სასწავლებლის ზედამხედველი უნდა ამოერჩინათ და ამის შემდეგ განეხილათ სხვა და სხვა საკნები სასწავლებლის საჭიროების შესახებ. ამ ყრილობის თავს მჯდომარედ იყო ამორჩეული სიღნაღის მღვდელი ლ. ტურბივი, ეხლანდელი სამღრთო წერილის მასწავლებელი საოსტატო სემინარიისა ქ. გორში. ამის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ ამას თავის მოქმედებით, როგორც თავს მჯდომარეს სამღვდელთა ყრილობაში სხვა და სხვა დროს, შედარებით რომ ვსთქვათ, უფრო წარადი მოჰქონდა, ვიდრემდე სარგებლობა. ამისათვის საზოგადო სიკეთეს და მისთვის ზრუნვას დიდი მნიშვნელობა არა ჰქონია; ეს იქ და იმ საქმეში იყო თავგამოდებული, სადაც ზირადს სარგებლობას ან რომელსამე ვიწრო წრეს ეხებოდა საქმე. როდესაც ამას თავსმჯდომარედ ირჩევდნენ ხოლმე, მაშინ სიღნაღ ის მასწავლის სამღვდელთაგან ის საზოგადო სენი ჰქონდა გადადებული, რომ ეველა იმათგანი წინდაუხედავად და ხაუფიქრებლად ევიროდა—სასწავლებელი სიღნაღში ანუ წმ. ნინას-ბოდბის (ს. ქედელშია ეს მონასტერი) მონასტერის სახლებში უნდა გადავიტანოთ. ამ უმცნარ და ეოფლის მხრით აუწონავ აზრს მომეტებული ვნება მოჰქონდა მისთვის უფრო, რომ იმისთანა ზირები, როგორც ლახარე ტურბივი გამოუცვლელი თავს მჯდომარე სამღვდელთა ყრილობისა, თანაუგრძობდნენ და ამ აზრის აღსრულებას ცდილობდნენ. ეს იყო მიზეზი, რომ 1876 წლიდან თელავისა და სიღნაღის მასწავლის სამღვდელთა თ შუა თანხმობა არა ეოფილა არც მოსამზადებელის კლასის განხნაზე და არც სასწავლებლის სხვა საჭიროებაზე სიღნაღის მასწავლის სამღვდელთაგან კი ეგონა, რომ თელავიდან სასწავლებლის გადმოტანისათვის სიღნაღს, საჭიროა მხოლოდ იმათი წადილი, რომელსაც ვითომ არავითარი დაბრკოლება არ ექმნება. სამწუხარო ამ შემთხვევაში უფრო ის იყო, რომ ამ საქმის მომხრეთ, როგორც მაშინ ისმოდა, გამოჩნდა თავმჯდომარის ლ. ტურბივის მძაც (თომა

ტურბივი), რომელიც იმ დროს იყო მასწავლებლად თბილისის სემინარიაში და რომელსაც უფრო ვავლენა ექმნებოდა ქიზიყის სამღვდელთაზე. ამ ორთავე მძების წინამძღომლობას ის შედეგი ჰქონდა, რომ 1875 წლამდის შეუძლებელი და მოუხერხებელი ვახდა მოსამზადებელის კლასის განხნა თელავში სასულიერო სასწავლებელთანვე. თუმცა ეს განხეთქილება სუფევდა ქიზიყისა და კახეთის სამღვდელთა შუა, მაგრამ მთელი სამღვდელთაგან მაინც კიდევ ისე არ იყო დაბრძმებული და გონებით დახმული, რომ ვერ ეგრძნო თუ რა წარადი მოსდიოდათ მათ შვილებს ამისთანა მათის ქცევისაგან,—და ამის წინააღმდეგ არ მიეღოთ შესაფერი საშუალება. თუ რა წარადი მოუვიდათ ნამდვილად სამღვდელთა შვილებს აღნიშნულის მიზეზით, ეს ცხადად სხანს თელავის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლის უ. ად. რ.“ კორრესპონდენციასზე, რომელიც დაიბეჭდა შარშანდელს „დროების“ № № 116, 117 და 118-ში. მამასადამე თვით გამოცდილება ეუბნებოდა სამღვდელთაგან, რომ იმას გამოცვალა თავისი უწინდებური მიმოქცევა სასწავლებელთან და ორგულობის მაგიერ გაეწვია მისთვის ერთგულება როგორც სიტყვით, ეგრეთვე საქმითაც. აღნიშნულ ყრილობის დროს ამორჩივეს ზედამხედველად იმ დროს ახლად კურს შესრულებული ნ. მთვარელია.

ურიგო არ იქნება, რომ ორიოდე სიტყვა ვსთქვათ ახლად ამორჩეულს ზედამხედველის ვინაობაზე. ეს არის შობით თელავისავე მასწავლებლისა და თელავისავე სასულიერო სასწავლებელში ნასწავლი. თბილისის სემინარიაში კურს შესრულების შემდეგ, ამას უარი უთქვამს მღვდელთაგან თანამდებობაზე და თავისზედ დამტკიცებული მამის ადგილი მღვდლობისა სხვი-სთვის დაუთმია და თვითონ მასწავლებლის ადგილი დაუჭერია თელავშივე. ოთხის წლის სამსახურის შემდეგ ამ თანამდებობაში, ეს წასულა ზეტერბურგში სწავლის შესავსებლად და შესულა სასულიერო აკადემიაში. აკადემიის შემდეგ ამას ერგო ისევე თელავში ადგილის მოვნა, — ზედამხედველობა სასწავლებლისა. უნდა ვსთქვათ, რომ ეს გარემოება დიდს მნიშვნელობას ამღვეს აღნიშნულს ზედამხედველს თელავის სასულიერო სასწავლებლისათვის, რადგან ამას შეეძლო დაახლოებით გაეცნო ადგილობრივი საზოგადოება სამღვდელთა, მათი საჭიროება და ამის მინერულობით ემოქმედნა სამღვდელთა სიკეთისათვის. სამღვდელთაგან ესევე მიიღეს სახეში, როდესაც ამის ზედამხედველობა ისურვეს. მართლაც ამისთანა ზირს შეეძლო ძრეულ ჩქარა დაემჩნია სასწავლებლისათვის წარმატება, მხოლოდ იმ ზირობით, თუ სამღვდელთა ეველა მისს საფუძვლიანს დაწეებას ხელს მოუმართავდნენ ნივთიერებითის (მატერიალური) შეწირულობით. თვით ზედამხედველმა უთხრა ამასვე თავის აზრი

დემუტატებს, როდესაც ამით ერთხმად ამოიწივეს ეს ახალ თანამდებობაზედ. დაახლოებით ესრედ შეიძლება გამოვხატოთ მაშინდელი მისი სიტყვები, მიქცეული დემუტატთადმი: „ბევრი ღაწარაკი აღარ არის საჭირო იმაზედ, რომ თელავის სასწავლებელი დაბლა დგას ყოვლის მხრით ეველა საქართველოს სასწავლებლებზედ, მაშასადამე აღდგენისა და წარმატებისათვის დიდი შრომა არის საჭირო ეველა სასწავლებლის მოსამსახურეთაგან და განსაკუთრებით ზედამხედველისაგან. მაგრამ ამასთანავე უნდა იხილავდეთ, რომ ეველა ჩვენი, აქ მოსამსახურეთ, მეცადინეობა უნაყოფოდ დარჩება, თუ რომ თქვენგანით ერთგული შემწეობა არ მიეცა სასწავლებელს; იცოდეთ, რომ მაშინ წავა სასწავლებლის საქმე კარგად, თუ რომ ეოველს საფუძვლიანს თხოვნას და წინადადებას სასწავლებლის მმართველობისას, ერთგულად მოეკიდებით და ნათხოვნ შემწეობას მისცემთ. თუ გითხრათ ვინმე, ან გეუბნებიან და ან გეტყვიან როდისმე, რომ ჩვენ შევიძლებთ სასწავლებლის გაუკეთესობას ეოვლის მხრივ უფულოდ, ისინი დაგარწმუნებთ, თქვენ გატყუებენ. მე წინააღმდეგ ამისა, უთქვენათ, ანუ უკეთ, ნივთიერ შეუწევნელად თქვენგან, ვერაფერს იმედს ვერ მოვცემთ, რადგან, დარწმუნებული ვარ, ამისთანა იმედი თქვენი და ჩემი თავის მოტყუება იქნება. ეხლანდელი თქვენი შეწირულობა ღირსია ეურადღებისა და წაქეზებისა; იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს იქნება დასაწეისი სამღვდელოთ თანაგრძნობისა სასწავლებლისადმი და ამით არ ვათავდება თქვენი შემწეობა და ზრუნვა მას ზედა. ამასთანავე იმას გეტყვით, რომ იქნება ოდესმე ბლომა შეწირულობაც გადასდოთ სასწავლებლისათვის, მაგრამ ხეირიანი—ერთგული და მცოდნე კაცი კი არა გეყვანდეთ, რომ ეს შეწირულობა ნაყოფიერად გამოეყენოს თქვენს შვილებს. ამის მაგალითს ბევრს ვხედავთ ჩვენშიაღ და სხვაგანაც. თქვენ, ჩემის ფიქრით, უნდა ეცადოთ ისარგებლოთ შემთხვევით და გარემოებით, რომლებიც ეოველთვის ერთ ნაირი არ იქნებიან. უკეთუ თქვენ თანაგრძნობას გამოუცხადებთ სასწავლებელს, მე იმედს ვამღვეთ, რომ ჩვენი სასწავლებელი ოთხს წლის შემდეგ, თუ არ დაემჯობინება, არაფრით ჩამოეუარდება სხვა მასთან თანასწორ სასწავლებლებს, და თუ თქვენის მხრით შემწეობა არ ექმნება, შეიძლება სასწავლებელი წარმატების მაგიერ, უკან და უკან წავიდეს.“ ამ დროს ერთმა დემუტატთაგანმა უთხრა მოღაწარაკეს: „გახსოვთ, რომ ერთ ერილობაზედ, როდესაც თქვენ მასწავლებლად იეაუთ, თქვენის რჩევით ჩვენ შევსწირეთ ბიბლიოტეკისათვის ანუ ემაწვილების წიგნებისათვის კრებულზედ ათ ათი შაური. ჩვენ ეს ფული შემოგვაქვს და ჩვენს შვილებს კი არც ერთს წიგს არ აძლევენ უფასოდ, თქვენ კი მაშინ გვითხარით,

რომ ხუთის წლის შემდეგ თქვენს შვილებს ეველას სახელმწიფოთ ექმნებათ წიგნებიო.“ მე მაგაზედ ეხლა ზასუხს ვე მოვცემ, რადგან მე შეწირულობის შემდეგვე ჩქარა დავანებე თავი სასწავლებელს და არ ვიცი რა დანიშნულება მიეცა თქვენ ფულებს შემდგომში,— უზახუნა მთვარელოვმა. როგორც აღმოჩნდა ბოლოს, ეს ფული შემოეტანათ ზოგიერთ ბლადოჩინებს მხოლოდ ერთის წლისა, დანაშთენ ფულების მოკრეფაზედ და სასწავლებლის მმართველობისათვის წარდგენაზედ თავს არავინ იცხელებდა. მხოლოდ ახალმა ზედამხედველმა მოაგონათ ბლადოჩინებს მათი ძველი შეწირულობა და ურიცხვი მიწერ-მოწერის შემდეგ ბლადოჩინებთან, ძლივს შეიკრიბა ეს ფული. როგორც ნამდვილის წყაროებიდგან ვიცი, ეხლა მომეტებულ ნაწილს მოსწავლეთა მუქათათაც ეძლევათ სასწავლი წიგნები (учебники), რომლებიც არიან ნახვიდნი აღნიშნულის ზემორე შემოწირულობით. წინანდელ ზედამხედველებს კი ეს ფული ამ საგნისათვის არ მოუხმარნიათ. ესრეთი ერთგული მოქცევა ზედამხედველის მხრივ, რასაკვირველია, არ ესიაძოვნათ სამღვდელოთ, რომელნიც დაჩუკულნი იევენენ შეწირვას მხოლოდ ქალაღდზედ დაწერით და არა ფულით. თუ ვინდა რომ სამღვდელოება გადაეკმეტეროს, მოსთხოვერიოდე გრომის შეწირვა საზოგადო კეთილის საქმისათვის და მაშინ იმედი ექონდეს, რომ შენზედ მუჭორეებს ათასობით შესვლები ძღვდლებში.

როდესაც ზედამხედველის არჩევის საქმე ვათავეს, მაშინ დაიწეეს საუბარი მოსამზადებელის კლასის განსნაზედაც. ეხლდა აღმოჩნდა თანხმობა ამ კითხვის შესახებ ქიზიეისა და კახეთის სამღვდელოთ მუა. ამ ერილობაზედ შესწირეს სამღვდელოებამ სასწავლებლის სასარგებლოდ 1057 მ., რომლისაგან თვითეველს კრებულს შეხვდა 7 მანეთი. ეს ფული ერილობის გადაწეუეტილებით, უნდა განაწილებულიყო შემდგომის სახით:

- 1.) მოსამზადებელის კლასის მასწავლებელს წელიწ. 360 მ.
- 2.) იმასვე მიეცეს სახლის ქირა — — — — — 40 მ.
- 3.) მოსამზადებელი კლასის ოთახისათვის ქირა — 50 მ.
- 4.) ამავე კლასის განათობლად და განცეღარისათ. 30 მ.
- 5.) ჰირველად ამ კლასის მოსაწეობლად — — 60 მ.
- 6.) ქართული ენის მასწავლებელს ჯამაგირი — 150 მ.
- 7.) ზედამხედველის თანამეწმის სახლის ქირა — 50 მ.
- 8.) სასწავლებლის სახლის შენახვის ხარჯად — 60 მ.

800 მ.

სასწავლებლის სამმართველომ უნდა დანაშთენი 1057 მანეთიდგან ფული შეიტანოს თფილისის სავაჭრო ბანკში განამრავლებლად სარეგებით, სახელდობრ 257 მანეთი 1875 წ., ხოლო შემდეგ 317 მ. წელიწადში.

თუმცა ეს განხილვა არქივში დამტკიცდა 1 ოკტომბერს და ამ განხილვის ძალით მოსამზადებელი კლასი უნდა განხილიყო ოკტომბრიდანვე 1875 წ., მაგრამ საქმე სრულებით სხვა ნაირად წავიდა. უცოდინარობის გამო ექსარხოვის კანცელარიამ, იმის მაგიერ, რომ აღნიშნული განხილვა, უწ. სინოდის გარდაწვევით ძალით, გამოეგზავნა სასწავლებლის სასამართლოში, ამან, წინააღმდეგ ამისა გაუგზავნა ეს განხილვა ერთობის თავმჯდომარეს, რომელმაც ერთის თვის განმავლობაში შეიკავა ხელში და თავის დროს არ გადასცა წესისამებრ სადაც ჯერ იყო. ეს შეიქმნა იმის მიზეზად, რომ მოსამზადებელი კლასი თელავის სასულიერო სასწავლებელთან გაიხსნა 1 ნოემბერს 1875 წ. მაინც უნდა ვსთქვათ, რომ აღნიშნული სამღვდელთა ერთობა გათავდა სასარგებლოდ. ვგონებ ეს იყო პირველი სამღვდელთა ერთობა მღვდლის ლაზარე ტურიევის თავმჯდომარეობით, რომელმაც სამღვდელთა პირველად გამოაცხადა თავისი თანაგრძობა თავისი მშვიდების გონებით წარმატებისათვის. უნდა კი შევნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში, როგორც წინათაც, თავმჯდომარეს დიდათ თავი არ შეუწუხებია, რომ ეს საქმე ასე სასარგებლოდ გათავებულყო. ქიზიყის მღვდლები კი ხშირად იქადიდნენ, რომ იმათში გამოჩნდა ამისთანა მღვდლების მომხრე და მათის ინტერესების დამცველი პირი. მე კი ვისურვებდი, რომ ამისთანა პირებს ჩვენს სამღვდელთაში და მათს ერთობებში არ ეჭირათ მეთაურის ადგილები, რადგან ისინი წარმატების მაგიერ თავიანთი მომხრე უველაფერში უკან სწევნენ, და მხოლოდ თავიანთი პიროვნება შეჰყავთ თავიანთებურს წარმატებაში.

(შედეგი იქნება.)

.....

მ ბ ზ ა ვ რ ი ს ვ ე რ ი ლ ე ბ ი

სვანეთზედ

(შედეგი *)

სამეურნეო ნაწილი სვანეთში, საშინელს ცუდს მდგომარეობაშია, თავისი ცივი ჰავის მიზეზით, რომელიც მეურნეობას ბევრს ავნებს. მიწის შემუშავების იარაღები სვანებს ნამდვილი იმისთანა აქვთ, რა ნაირსაც ჰხმარობენ იმერეთში, სამეგრელოში და ქართლში, მდელით მცენარეებიდამ, სვანეთში კარგათ მოდის სიმინდი, ქერი, მურია და ზური ძალიან ცოტა; უმეტესად კი სიმინდსა და ქერსა ჰსთესვენ;

მურიას—უფრო ხშირად ვიდრე ზურსა და დიკასა ზურსა მაგ რიგად არა ჰსთესვენ უთუოდ იმიტომ, რომ არ იციან ზურის მოყვანის ანგარიში და იმიტომაც, რომ დაჩუქული არიან—ჭადსა, რომლითაც მთელი იმერეთი თავს ირჩენს. ვისაც ზური აქვს—ის მდიდარ კაცათ მიანხიათ; და სცა არ უთესიათ ზური, ის ხალხი ღარიბათ ირცხება. „თავისუფალ-სვანეთის“ უმეტესს ადგილებში მდ: „კალარას“ და „მულსრეს“ ხეობებს ვარდა „უშკულის“ საზოგადოებაში, და მრთელს „სათავადო სვანეთში“, ზური კარგათ მოდის, მაგრამ ძალიან დაბალის ღირსებისა. ზოგიერთ ადგილებში „უშკულის“ საზოგადოებისაში მოდის მხოლოდ—ქერი. ასე რომ, ბევრი სვანი, თავის სარჩოს მოვლისათვის სამუშაოთ გადასლენს უშკულისა, თუმცა კი სვანებს არა აქვთ ხასიათში, რაიმე კავშირის დაჭერა სხვა სამეზობლო ხალხებთან. უკეთესი სახლოსობა, მეურნეობა, სვანეთში არის სოფელს „ბეჩოს“ და სოფ. „ცხმარს“, სათავადო სვანეთში. ყოველი ოჯახის პატრონი სთესავს ორკოდიდამ ათ კოდამდინ ჭირნახულსა. თუმცა სვანეთში ცოტაა გამოხადეგი—სახნავი მიწები, მაგრამ ისეთი მძლავრი ეამირი ჰქონია სვანეთის ნიადავსა, რომ ერთ თესლსა, თვრამეტი კოდი ჭირნახული მოაქვს, და ეს საშუალი შემოსავალია; ასე რომ მთელს სვანეთში, იმას ვარდა რაც თვითან ხალხს თავის ოჯახებისათვის სჭირდებათ ჭირნახული—მეტი მოსდისთ ხუთი ათას კოლამდინა. აქედამ ზოგი ინახება მომავლის წლისათვის, თესლათ, და ზოგი, ძალიან ცოტა, იცვლება სხვა და სხვა საფაჭრო ნივთებზედ და უმეტესის ნაწილიდამ არაქსა ჰხდინა, რომელსაც ღვინის მაგიერათა ჰხმარობენ, რადგანაც სვანეთში ვაზი სრულებით არ ჰხეირობს. ამ ჭირნახულის ვარეთ გატანა განსახედათ, სვანებისათვის, შეუძლებელია უკზოობისა გამო.

საბალახეები და სათიბეები სვანეთში—მრავალია, რომელმაც თავის საქონელს სამოვრათ ჰრეკენ ხოლმე; ზამთრისათვის კი თივასა სთიბვენ და ინახვენ ახალს მოსავლამდინ. მიწებს არას დროს არა ჰრწევენ; და თუ ვისმე ორჯელ დასჭირდება სათივის გათიბვა — სათივეებს ბლომათა ჰრწევენ და ამითი ერთ ზაფხულს ორი მოსავალი მოჰყავთ. სვანეთის მიწებს ისეთი მძლავრი ნაყოფიერება აქვს, რომ მოკლე ზაფხულში, ესე იგი ორ თვე ნახევარში, — ორი მოსავალი მოჰყავთ სუველაფრისა, რასაც კი დასთესვენ, თუ მომჭირნეთ გაინარჯეს. ვენახები მხოლოდ „სადადიანო სვანეთში“ არის და ისიც ძალიან ცოტა და გლახა ვაზი იცის, მხოლოდ ერთს „ლაშხეთის“ საზოგადოებაში; ამ ვაზის ღვინოს არა სძენ სვანები, მისის უგემურობისა გამო, მხოლოდ არ

*) „ივერია“ №№ 19, 21, 22, 23 და 24.

დაამძარებენ, ან არა და არაუმი ურევენ.

მთელი ქვეყანა დიდი ტყეებით არის დაფარული, რომელშიაც ვერხვი, ქედრის-ხე, არაიის-ხე, წაბლი, ძელქვა, ფიჭვი, ნაძვი, კაწახური, რომელიც ყოველგან მრავალია და აწითლებს ბუნებას, შინდი, დაფნის-ხე, მჭნავი და სხვა ამ გვარი მცენარეა. სახმარი ხე სვანეთში უკეთესია: მუხა, იფნა, ქედრის-ხე, წაბლი, წიფელი, ნაძვი, ფიჭვი და ძელქვა; მაგრამ სვანები ამ ხის მასალებს ძალიან ცოტასა ჰხმარობენ თავის შენობებისათვის; მათი შენობა უმეტესად, ქვითკირისაა. ეს ტყის მასალის სიმდიდრე არც კი იხეხება, რადგანაც არც ვეზები აქვს სვანეთის ტყეებს და არც ტყის მასალის ვაჭრები არიან იქაბოსტნეულობის მცენარეებში სვანები ძალიან ჰხმარობენ: ლობიოს, ხახვსა, და ნიორსა; კართოფილსაც სთესვენ, მაგრამ ძალიან ცოტას; და აგრეთვე ცოტა კიტრსა, კვანძსა და სხვა ამ გვარს მცენარეებს. ძალიან ჰყვარებიათ—ქინძი და ნიორი. ზეთის სახდელ მცენარეებში და ბუსუსიანი მცენარეებში სვანები სთესვენ — ბამბას, მხოლოდ საკუთარის ოჯახისათვის; მრავალს — სელსა და კანაფსა; თუთუნს ისე ცოტასა სთესვენ, რომ სვანეთის მცენარეებში არ ჩაირიცხება. ხეხილი, სვანეთში, იზოვება ბევრი: მსხალი, ზანტა, ვაშლი სხვა და სხვა ქლიავი და ტყეძალი. ბალახებში, სვანები სამკურნალო ბალახებს აგროვებენ და თავის დროზედა ჰხმარობენ.

საქონელი, სვანებს, —საჭიროებისა და გვარათ ჰყავთ; თითქმის ყოველ სვანს, ხუთი ან ექვსი წვეილი რქიანი ზირუტევი ჰყავს, მროხებისა; და ოცი და ორმოცი წვეილი—ცხვარი, უსათუოთ უნდა ჰყავდეს. ამათი ხარი და მროხა უფრო დიდი და მსხვილია, ვიდრე იმერეთის საქონელი, ანუ მთელის ქუთაისის ღებურნიისა. კამბეჩები აქა სრულებით არ არის, სიცივის გამოისობით, რომელსაც კამბეჩი ვერ აიტანს ხოლმე; ცხენები და ჯორები არა მოჰყავთ სამეგრელოდამ, ქუთაისიდან და ლეჩხუმიდანაც; მხოლოდ რომელიმე თავადიშვილებსა ჰყავთ ცხენები და ჯორები კი აწნაურებსაც. სვანები ამბობენ, რომ ცხენებს და ჯორებს იმიტომაც არ ვაძენებთო, რომ სასულიერო გზა არა ვაქვსო, სულ მთა და მთა არისო და ვაკე ადგილი კი—სულ დათესილიაო. ცხვარი ბევრი ჰყავთ, და ხორცს თითქმის მთელ წელიწადსა სჭამენ და ტყავისას ფაფახებსა და ქურქებს იკერვენ ხოლმე; მათის მატყლისას კი სხვა და სხვა ნაქსოვებსა ჰქსოვენ. მაგათი ცხვარი მსხვილ მატყლიანია, და დუმის მაგივრათ კუდები აქვსთ, როგორც მთელ იმერეთის ცხვარსა. აგრეთვე ბევრს ღორს ამრავლებენ, რომელთაც არც არა მოვლა უნდა და არც არაფერი საკვების შენახვა. ძაღლები უმრავლესია; ცხვრის-

ფარის ძაღლი კარვის ჯინშისა არის. წვრილ-ფენი კი იმდენია, რომ თვითან ზატროხები არას დროს არა სთვლიან, რამდენი ჰყავთ. განა იქნება სადმე, მართლა, კუთხე ქვეყნისა, სადა კაცი ჰსცნოვრებდეს რომ იქ წვრილ-ფენაც არ გაჩნდეს? — ჩვენ სულ ამათის ხორციით ვირჩენდით თავსა — სვანეთში. გარეულ მფრინველებში, მე შევამჩნიე: ღაღღა, მწვერი, კაცის უღაღატი—ჭიგჭავი, ევაგი და შრომანი; მტაცებელ მფრინველთაგანი ჩვენ შეგვხვდა: არწივი, ორბი, და მიძინო; მერცხალი და ბუღბუღი სრულებით არ გვინახავს სვანეთში. ნადირიც ბევრი ეოფილა: მკელი, ძელა, ტურა და დათვი; ესენი ძალიან გამრავლებული არის; სხვათა შორის ჯიხვი, ირემი, ტახი, კურდღელი, და თავგ-გვარი მღრღინავიც ბევრია სვანეთში. სუეველა ამ ტყის მცნოვრებებს მგზავრი ძალიან ხშირად შეხვდება ხოლმე გზაში და ხშირად დიდს ხათაბალას აუტყენენ ხოლმე. თევზებში, სვანეთში, მხოლოდ არის ერთი კალმანი, ყოველ ნაირს წყალში. ქვე-მძრომ ცნოვრეთაგანი, მე ვნახე მხოლოდ ბაყაი და ანკარა. ჭიებში მხოლოდ სხვა და სხვა ჯუჯუკა და ძალიან ცოტა ჭიანჭველა. ეს არის სვანეთის ტყეების გარეული მცნოვრებელი, ფაუნა რომ ჰქვია.

სათხრელს ნიუთთაგანი იზოვება ბევრგან ჰრკინისა და სწილენძის ძაღლები; ვერცხლის ძაღლებსაც ჰპოულობენ; აქა იქ ტყვიაც არის. ამბობენ, რომ „უშკულის“ საზოგადოებაში ტყვიას ბევრსა ჰპოულობენ; სოფელს „ლატალის“ საზოგადოებაში კი, ამბობენ, თურმე მთელი მთებიაო ვერცხლისა და ტყვიისაო. აქა იქ არის ფორფირის ქვაცა; კლდის ჯაფარისანი ქვაცა, ესე იგი გრანიტი. და სხვას ბევრს ამ გვარ ძვირფას ქვებსაცა ჰპოულობენ. თოვლი რომ დადნება, ბევრი გოგირდი ამოჩნდება ხოლმე, თეთრი თიხით არეული და სხვა მადნეულის საგნითაკირი მრავალია; მაგრამ ვერ არის კარგი, რადგანაც ბევრი თიხა ურევია. ზოგან ნავთის ჭებეჯე ეოფილა; და სხვა ბევრი მკურნალი წყლებიც. სოფელს ბეჩოს არის მკურნალი ჰრკინის წყალი და ნახშირ-მჟავადიანიცა; და სოფელს სესტიას მახლობლად არის გოგირდოვან-ნაცარტუტიანი წყარო. სვანეთის გზებზედ კი ჩვენ ბევრი მწარ-ძლამე წყაროები ვნახეთ, როგორც ზღვის წყალი მე ძალიან გამიკვირდა, როდესაც სოფელს ბეჩოს, სქონელსა და ცხვარსა ნახშირ მჟავადის წყაროს წყალს ასმევდნენ; მითხრეს, თურმე რომ, საქონელი ამ წყალს ძალიან ეტანებაო, და ჰაღბათ მაგათთვის მარგებელი არისო, რომ სმენო; თორემ თუ მავნებელი იქნებოდა საქონლისათვისაო, საქონელი არ მიეკარებოდაო.—ესეც მართალი ეოფილა! ბევრგან ისეთი ნახშირ-მჟავური ჰაერი ამოდის მიწიდან, რომ

ჩემ თვალს წინ, ერთმა ჩემმა ჩაფარმა სვანმა, მიწაში ნახევარ არმინსედ ჩიბუხის ტარი ჩაარტო და ეს ჰაზრი ანუ ჰაერი იმ წამსვე ამოხტა მიწიდან; მერე ცოტა მოშორებით ისევ განვიმეორეთ ჩვენ ესა და ისევ ის სანახავი ვნახეთ.

მრავალი ასპიტის ქვა არის სვანეთში, რომელსაც სვანები შენობებში ჰხმარობენ; და ამის მიზეზით თუ შენობა კირით არ არის გალესილი, შავი შეხედულობა აქვს გარედამა და შიგნიდანაც; აგრეთვე მრავალი თავუ-მარლას ქვა, სქელ-სქელ ნაჭრებში, თეთრ მარმარილოს მსგავსი ეოფილა სვანეთში; და სხვა ბევრი ამ გვარი სიმდიდრეა ამ ქვეყანაში, რომლისათვისაც ჯერ სელი არავის არ უხლია! ხალხმა რასაკვირველია არც იცის და მოხერხებაც არა აქვსთ, რომ მოინძარონ ეს სიმდიდრე, იმ მიზეზით უფრო, რომ მათი ქვეყანა სულ მრთლათ გარეშად მთებში ჩაკეტილია, და უფრო იმიტომაც, რომ სვანების სხვა და სხვა საზოგადოებას შუა არის მუდამ რაიმე უსიამოვნობა და განსეთქილება.

ამ ხალხს უმთავრესი საქმე, შრომა აქვს ნადირობაში და ამასთანავე მცირედი შრომა და ჯაფა-მოჯახანობაში და მეურნეობაში იმოდენად, რომ მათს ცოლ-შვილს მოძავალს მოსავალადინ თავისი-თავის შენახვა შეეძლოთ. ვაჭრობა სრულებით არ არის; ვაჭრობის მნიშვნელობაც ჯერ სვანებს კარგათ ვერ გაუგიათ; და ესენი ძალიან ეძღურებიან იმ კაცებს, რომელნიც სვანეთში დადიან სავაჭროთა და ჰქრიან საქონელს, ცხენებს და ცხვრებსა ჰყიდიან. სვანებში ამისთანა ვაჭარს ხალხს სრულებით არა-ვითარი ჰატივისცემა არა აქვთ. ეოფელი საგანი, ნივთი, ეოფელი სავაჭრო რაიმე, გაჭირების დროს გაიყიდება სვანისაგან, მხოლოდ ისევ თავის სოფლის კაცებში და ფულსედ კი არა,—გაცვლიან ხოლმე ამ გვარს სასყიდელს რაიმე საოჯახოსაგანსედ ან რაიმე ნაყოფსედ; ერთი სიტყვით, ვაჭრობაში ფული არა ტრიალობს, მხოლოდ-გაცვლა-გამოცვლა აქვთ სავაჭრო საქონელისა. როცა როტა სალდათი დაბინავდა სვანეთში, მხოლოდ მაშინ გაჩნდა, მთელს სვანეთის ქვეყანაში, ერთი ვაჭარი, ამ როტის მიკიტანი, და ისიც სვანი კი არა—არამედ ქუთაისელი სომეხი, რომელიც ჰყიდის თავის სავაჭრო საქონელს: არ ესა, ჩაის, შაქარს, თუთუნს, ჰაზროსს, საპონს და სხვა ამ გვარს საწვრიმალს; საკუთრად სალდათებში ჰყიდის და მათ უფროსებში. სვანებს კი, ამ მიკიტანთან აღებ-მიცემა, უფულობის გამო, სრულებით არ შეუძლიანთ. არც ერთი სვანი ფულსედ არაფერს არ ჰყიდულობს ამ მიკიტანის დუქანში, სვანმა არ იცის ფული რა არის; იმიტომ რომ ფული სვანეთში ძალიან ძვირია. თუ ერთი მუჭა თუთუნის კიდვა უნდა სვანსა, რომელიც ღირს, ბევრი-ბევრი, ერთი აბაზი, სვანი

მაგივრად, მიკიტანს-არაქს მოუტანს, ან ცხვარსა, ან არა და ხბოს, რომელიც ერთი-ასად უფრო მეტათ ღირს, ვიდრე ერთი მუჭა თუთუნი. მიკიტანიც თავის მხრით—ამისთანა-აღებ-მიცემობის მნიშვნელობას ვერ მიხვდა კარგათა, და ამ მიზეზით სვანებსა და მაგას ეოფელთვის დიდი უკმაყოფილება აქვსთ; და მაგის ჯიბრზედ, სვანები, სმირად ჰპარვენ ხოლმე დუქნიდან იმ სავაჭროს, რაცა სჭირდებათ. მრთელს სვანეთში, სადაც ორმოცი-ათასამდინ ხალხი ითვლება, არც ერთი ვაჭარი არ არის; არც ერთი დუქანი, არც ერთი ბაზარი, სრულებით, ერთი სიტყვით არასფერი ვაჭრობა, როგორც რიგია, და როგორც სხვა კავკასიის მაზრებმა იციან—არ არის ამ ქვეყანაში.

საკვირველი შენობები აქვთ სვანებს. „სათავადო“ და „სადადიანო“ სვანეთის სოფლები, სრულებით „თავისუფალ“ სვანეთის სოფლებს არა ჰგვანან. „სათავადო“ და „სადადიანო“ სვანეთში, სახლები— ჰატარები არიან და ძალიან დაბალი; ძალიან იშვიათია ქვის სახლები; სულ ხისაა. „თავის-უფალს“ სვანეთში კი—სუველა სახლები და შენობები—ქვითკირისაა, ორი, სამი და ოთხი წუებისა, ეტაყიანი, არიან; სულ კირით არიან გარედამ გათეთრებული და ასპიტის ქვით დახურული; ჰატარა ფანჯრები, სათოფეებივით აქვს დატანებული ეოფელს შენობას. ამისთანა სახლებთან, გარედამ ხის კიბები აქვს მიდგმული და თუ ვინმე მტერი დაეცა ამისთანა სახლს, ამ კიბეებს გადაიდებენ და ეოფელი სახლი მაშინ კომპებათ გადაიქცევა ხოლმე. სახლებში—ოთახები ძალიან და განიერია, უმთავრესად სულ ასპიტის ქვით დაგებული; მაგრამ მათი ჭერი და კედლები ისე გაშავებულია ჰვარტლისაგან რომ, გეგონება, სულ ნახშირი უნდა იყოსო და ისე შავია, რომ ბრჭყინავს ოთახი. ცეცხლი დღე და ღამე უნთიათ, ზაფხულსაც და ზამთარში ხომ მეტადრე, და ეოფელთვის ოთახის შუაგულზე; კომლისათვის ერდოსავით ღია ჭერი აქვთ. ამ მიზეზით ეოფელი ოთახი წარმოადგენს საშინელს უწმინდურებას; ნაცარი იმდენი გროვდება ეოფელ ოთახში, რომ ბავშვები და ბიჭ-ბუჭები, სულ მთლათ ტიტველი, სიცვიისაგან თბილს ნაცარში იფლებიან აქვე ტანტსედ—სახლი-ჰატრონის ოჯახის ბინაა; ტანტებს ქვემ ცხვრებია, ხბორები და ძაღლებიც; იმავე ოთახში მროხებსაც ბინა აქვს, ხარებსაც, წვრილ-ფენა შინაურს მფრინველებსაც. ერთი სიტყვით, ეოფელნიერი ეს ცხოველი, სულ ერთათ, წარმოადგენს ერთს მრთელს, გაუყოფელს თითქო, ოჯახს, და სუვეკა ერთათ, ერთსა და იმავე ცეცხლთანა თება. ახლა წარმოიდგინეთ, ჰატივცემულო მკითხველო, რა ნაირი მერალი სუნი დგება ოთახში—ეს უწმინდურება, ნავავი, ტალახი, სიმურტლე,—და ამითი სუნთქამს სვანი თავის ცოლ-შვილით, და ეს უწმინდურება ძალიან

იშვიათათ იწმინდება. ამავე ოთახში, რომელიმე კუთხეში ამოთხრილია ორმო, სადაც ეოველნიანს ნაგავს აგორებენ, ნეხვს და განავალსაც და ეს გროვა ეარს, ახდის სამხინელი მწარე სუნი; მხოლოდ ზაფხულის თვეებში გააქეთ გარეთ და მინდვრებში სტოვებენ—ზატყვათ. ეოველს ოჯახში და ეოველს სვანურს ოთახში — ამისთანა უწმინდურებაა; მაგრამ—ხალხი კი ძალიან ჯანმრთელი ეოფილა.—ეოველს სახლს აქვს რვა ან ცხრა საქეხის სიმაღლის კოშკები; მათი კედლები კლდის ნაღმის ქვისანი არიან; ხშირად მშრალი შენობაა, ესე იგი კირს ან ტალახს არ ურევენ, ასე რომ ქვა-ქვაზედ ზღვეს და თურმე, სვანები ამბობენ, რომ ამ გვარი მშრალი შენობა კირით არეულს ქვით-კირსა სჯობიანო თავის სიმაგრისაგამო. როდესაც ამისთანა შენობა აღარა სჭირდებათ, სვანები ადვილათ დააქცევენ ხოლმე და ამ ქვას სხვა რამე შენობას ახმარენ. რადგანაც უმთავრესი ნაწილი ამ გვარ შენობებისა სულ კირით არის გათეთრებული—ძალიან ღამაზი და სასიამოვნო შეხედულობა აქვსთ ამწვანებულს ბუნებაში. მხოლოდ მომორებულს „კალას“ და „უშკულის“ საზოგადოებაში შენობები შავი ასპიტის ქვისა აქვთ და მათი შეხედულობა კაცის გულს აწუხებს, თითქო სულ ჭვარტლით არიან გაძავებულიო.

სვანეთში ძალიან ბევრი საედრებია; არა თუ დიდს სოფლებში, არამედ ძალიან ზატარა დასახლებულს ადგილებშიაც კი არის საედარი. ზოგიერთ სოფლებში კი—ხუთ-ხუთი, ექვს-ექვსი საედარია; მეტადრე „თავის-უფალ“ სვანეთში—ძალიან ბევრია. ამ სახტრებში, უმთავრესი ეკლესია — უფრო დიდი შენობაა და სხვანაირი საშენობისა; გუმბათები ეკლესიებს და საედრებს; სამ-სამი განეოფილება აქვს ეკლესიებს და საედრებს, რომელშიაც შუა განეოფილება, სხვებზედ უფრო ძალაღია და განიერი. ხშირად, გარეთი კედლები სხვა და სხვა ფრათ შედებილია; ხან გამოხატულია სხვა და სხვა წმინდანი, ანუ ვინმე სვანი—გმირი და სხვა ამ გვარი სურათებია დახატული. ეოველს საედარს და ეკლესიას და მონასტრისაც გარშემო ძალადი ქვით-კირის კედელი არტყია. საუბედუროთ ეოველი საედარი და ეკლესია—სავსეა უწმინდურობითა! ძველს ამგვარ შენობებში, საკურთხეველში სჩანს, რომ უწინ აქა ცეცხლებიც ჰქონდათ გახალბებული და მის ნაცარში და ნახშირში მრავალი—ძვლები და ეოველნიანი ნაგავი ერია; საედრის ჭერზედ, გრძელ ლატებზედ ჰკიდია მრავალი ძვლები და ებები რაღაც ზირუტეებისა. თურმე, ეკლესიაში ლოცვისა და წირვის შემდეგ, ცეცხლებს ანთებდნენ და აქვე საქონელსა სოცვიდნენ, მერმედ ხალხი საჭმელათ იტაცებდა ხორცსა,—და ძვლებსა და ეოველისფერს გადასავდებდა—აქვე სტოვებდა. საზარელი შეხედულობა აქვს ეოველს

საედარს ამ უწმინდურობისა გამო. ეკლესიის კუთხეებში გდია სხვა და სხვა-ნაირი დამტყრეული იარაღი, კეტები, შვილდისრები შუბები და სხვა ამ გვარი სახმარისი იარაღი ნადირობაში და ჩხუბში.

უწინდელის ძვდლების ჩამომავლობის წარმომადგენელი, რომელთაც ეძახიან „დეკანოზს“, ბევრნი არიან სვანეთში და თავის ტანისამოსით და ეოფა-ქცევით და ცხოვრებით არ განირჩევიან თავის მეზობლებში. ეს დეკანოზები, საედრებში ხან-და-ხან სწირვენ და ლოცულობენ ხოლმე, და ლოცვებს ისე ურევენ რაღაცა ლექსებში და სიტყვებში, რომ მათი გამოთქმადა შინაარსი ლოცვისა არათუ ხალხს, თვითან დეკანოზებსაც არ ესმით. ამათ სრულებით არც წერა იციან და არც კითხვა; არაეის სმა საშინლათ უევაართ და ისე ექცევიან ხალხსა, რომ სრულებით ეოველი ზატყვის-ცემა და ჰკარგვით ხალხში. სვანები მიხვდნენ, რომ ეს დეკანოზები, თავის წოდებულ ღირსებისა სრულებით ღირსნი არ არიან, და ამიტომ, დაცინვით, ეძახიან მაგათა—„ზაზი“, „ესე იგი—ძვდელიო. თვითონ ეს „ზაზები“ გრმნობენ, რომ მათი საქმე არ ეოფილა, ჩამომავლობითის მოვალეობის აღსრულება. ესლა, სვანეთში არიან ნამდვილი მართლმადიდებელი ძვდლები, ქართველები და იმერლები, რომელნიც მთავრობისაგან, ჯამაგირზე, არიან გამწესებულნი, და რომელნიც წესიერად სწირვენ და ჰლოცულობენ ეკლესიებში, თავ-თავის მრევლში, ანუ შტატის ეკლესიაში. მაგრამ, ძველი „ზაზები“, მანინც თავისას არ იშლიან, და ხან-და-ხან ჩვენის ძვდლების მაგივრად ასრულებენ თანამდებობას, თუმცა კი მტკიცეთ და სასტიკათ აკრძალული აქვთ ამ გვარი მოქმედება. ხალხს ძველებური მამა ზაზის ჩვეულების გადაგდება არა ჰნდომია და ამისათვის ამღვეს ხალხი, „ზაზებს“ ნებას, რომ აასრულონ ხოლმე ძველებურათ დადებული წესი და ჩვეულება. ერთი სიტყვით სვანები „ზაზებს“ შეჰჩევიან და მათ მომორებას ვერა ჰბედვენ თავის გამმაგებულ ცუდ მორწმუნოებითა. „ზაზები“, უმეტესად, როცა მოიწვევენ, შედიან საედარში და ზოგიერთს ლოცვას იტყვიან ხოლმე და ამისათვის მომწვეველმა „ზაზას“ ან ცხვარი უნდა დაუკლას ან ხბო, და სადილიც მოართვას, ხორაგი ზაზას“ სულ-ერთიანად თან მიაქვს თავის სახლში, და ამითი ირჩენს თავსა; ნათლობა, ჯვარის-წერა, დამარხვა და წირვა—სულ ამ გვარათ ჩაივლის ხოლმე სვანისათვის, როცა „ზაზის“ ხელში ჩავარდება ეს საქმე.

მე ბევრჯელ მიკითხამს სვანებისათვის, რომ რა მიზეზით ეკლესიებს და საედრებს არა სწმენდენ ხოლმე, და წმინდათ და სუფთათ არ ინახვენ; მე მიმას-სუნეს რომ ჩვენ ისე ცოდვიანი ვართო, რომ ცოდვილის ხელით წმინდა საგანს ჩვენ არ უნდა

მივეკაროთო თუ მართლა ამისთანა რწმენა ჰქონიათ, ადვილათ დაეთმობათ და ენატიებათ უწინდურება ძველს სახტრებში.

სვანების სოფლები უმთავრესად მთის გვერდებზედ მდებარებს, სეობებში და სწამებშიაც და ჯგუფ-ჯგუფათ არიან აშენებული; სოფელსა და სოფელს შუა, როგორც შემოთა ვსთქვით, ბუნებითი სამსლვრებია. სოფელი შეიცავს ხუთი მოსახლე ოჯახიდან—ოც-და-ათამდინ; ხანდა-ხან—მეტსაც; ათი ან თხუთმეტი სოფელი, წარმოადგენს ერთს სასოგადოებას, ერთს სამამასახლისოს რომელიმე დიდი სოფლის სახელი—ემღვეა მრთელს სამამასახლისოს; ასე მაგალითად: „უშკულის“ სასოგადოება დანარქვეს სოფელ „უშკულის“ სახელი; „ბეჩოს“ სასოგადოება, „კალას“, „მესტიას“, „მულანის“, „წვირმიშის“, „იფარის“, „ხალდეს“ და სხვა სასოგადოება—სულ ამ სოფლების სახელებით იხსენიებენ. სვანეთში არის ცნრამეტი სასოგადოება და თითო სასოგადოებაში მთავრობიდან არის დაეენებული მამასახლისი, რომელსაც ეოველს სოფელში თითო თანამშრომელი, ზომომნიკი ჰქავთ. აი მაგალითად ამ სასოგადოების ან სამამასახლისოების სახელები: „უშკული“, „კალა“, „ადიში“, „მუჟალი“, „იფარი“, „წვირმიში“, „მულანის“, „მესტია“, „აღენევი“, „ლატალი“, „ბეჩო“; ეს თერთმეტი სასოგადოება „თ ავის-უჟალ“ სვანეთშია; დანარჩენი სხვა ორს სვანეთში: „ფარი“, „ჩუბინევი“, „ეწვი“, „წვომარი“, „ელი“, „აღენტეხი“, „ხალდე“ „ჟოლური.“ ეს ეველანზე დიდი სოფლებია, სადაც ორმოც-ორმოცი და ას-ასი კომლი კაცი ცხოვრობს და თითო კომლში ათი და ოც-და-ათი სული. თითო ამ სამამასახლისოებს მრავალი ზატარა-ზატარა, ასე ოცი და ორმოცი კომლიანი სოფლები ეკუთვნის; ზოგან ორი-და სამი კომლიანიც. გულს თუ არ გავიწვრილებთ, ზატავცემული მკითხველო, აქ დაგისახელებთ უმთავრეს სვანეთის სოფლებს, იმას გარდა რაც ესლა, შემოთ მოვისხენე: „ჟიბლიანი; ჭუბინანი; ჭამარი; მურემერი; ვინნაში; ლახორი; ლაღვირა; აქ მონასტერიც არის ამავე სახელისა; ისფრარი; დიუბერი; ადიში; ზეგანი; ბოღრეში, სუზი; ზაგარი; ტვიბერი; ჭაბანი; ნილაუბანი; ლამუნტი; ჭვანიანი; წალდაში; ჯაბეში; ქამუში; ჩოლი; ლახირი; არცხელი; მუშქერი; ღვებრი; ზარდლაში; ლაგამი;

ღანჭვანი; სეტი; ღესთანი; ნეგული; ღემსი; ქაშუეთი; ასკატი; ნექსი; ან; სოლი; ღანსუბტი; ღამი; ენაში; დიბაში; ღიშუეი; იფანი; ღამქვაში; მანცოვარში; შქალერი; ევანნიანი; ღაიალი; ბამდოლი; დოლი; უშხნარი; თებიში; თეთნაში; მახერი; ნაშთეი, ბოღვალარი; ებათი; ნამხორი; ქვართვანი; სუნი; ტვიბერი; მაგარდერი; ღაფხარი; ღეზგარი; ღამსრელი; ღანტელი; უღვალი; ისქორი; ბარში; ეურაში; ჭყირი; კაცხი; ზემოლია; ჯაბელანმულდი; ღაკური; თოლითერი; ხოსრუარი; ფალეთი; თადმარი; ჩუბანი; კიხლიდა; ჟეგვანი; ღაინრიბაში; წალერი; ჟუხლანი; ერქვანი. მრავალი კიდევ სხვა ზატარ-ზატარა სოფლებია; იმათ სახელებს არა ვსწერ, იმიტომ რომ ბევრს ადვილს დაიჭერს ჩვენს სტატიაში; და ამ ოთხმოც-და-თოთხმეტ სოფელმა მაინც შეგაწუხათ მგონია.

სვანებს აქვთ ეოველისფერი, რაც რომ სჭირდებათ ცხოვრებაში; ტანსაცმელ საქსოვებს—თვითონა ქსოვენ; იარაღს — თვითონვე აკეთებენ; თოფის-წამალსაც, ვერცხლულობასაც, ხან-და-ხან ოქროთ მო ჭედისაც თვითონვე სჭედენ, ერთი სიტყვით სვანებს სუეველათფერი საკუთარი აქვთ, ასე რომ სხვა მანრებიდან იქ არაფერი არ მიდის.

სვანეთში, სახელმწიფო გარდასახადს, ფოქტის ფულს, წელიწადში ოთხ-ოთხ მანათს იხდის ეოველი სვანი; დამფულს ვერანკ ზით ვერსმოულობს თავისის მრომით; ასე რომ ფულის სამოვნელათ ან ზოლიციის ჩინოვნიკებს უნდა მიჰმართონ, ან უფრო ხშირად— მღვდლებს; და ფულში აძლევენ ცხვარსა, ხარს, ძროხას, რასმე ჭირნახულს, არაუხა იარაღსა რასმე ან რაიმე საქსოვებს. ეს ჩინოვნიკები და მღვდლები თავის ჯამავირიდან სვანების ფოქტის ფულს ისტუმრებენ და გამორთმეულ საქონელს ჰგზავნიან სამეწობლო მანრებში—გასასეიდათ. ასე რომ თავნ-ფულსე ამათა, თითქმის ხუთასი სარგებელი (ზროცნტი) მოსდით; ამ რიგათ, სვანებზედ არანდროს მთავრობის ვალი არა რჩება, თუმცა კი ხალხს ძალიან ძვირათ უჯდება ეს გარდასახადი.

(შემდეგი ოქება)
კოტე სანინელი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Августа 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „ივერიის“ განმეორებითი გამოცემის პროექტისა და იდუის ავტორი, რედაქტორ-გამომცემელი **ნუგ ზარ ჭიანჭავაძე**

სარედაქციო ჯგუფი: **ნელი დარბაიძე, ნინო კერატიშვილი, ნინო შავაძე, ნინო გლუხნაძე, ლალი გოჩიტაშვილი, თამუნა დვალი, მერაბ დვალი, აკაკი იობაშვილი. მხატვარი, ბუბა არაბული, დიზაინერი ლაშა ჩხენკელი**

პროექტი: ივანია – ნანაული აბრეხაძე – მომავლის მანსარიაძე

პროექტის მხარდამჭერი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზეთი „ივერია“ ალგემინილია, – განმეორებითი გამოცემა დაწესებულია 2011 წლის 2 აბვისტოს

მომავალი შან „სამომავალი სახი ქართული ელია“ საიდენტიფიკაციო №404852174

მისამართი: გ. ლეონიძის 11ა; ტელ.: (+995 32) 299 76 53; chiaberashvili@gmail.com